# ჩვენი გზა

№ 9

თფილისი

1907

პარასკევი, 14 სექტემბერი

ცალკე ნომერი 5 კაპ.

გაზეთ „ჩვენი გზა“-ს გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ. ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „ჩვენი გზა“-ს რედაქციის კანტორაში ყოველ დღე, კვირა უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე და საღამოს 5-დან 7-მდე. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილები და კორესპონდენციები არ ინახება. ინახება ერთი თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილობით პასუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები. პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე. დილის 12 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე, კვირა-უქმეობით—დილის 11-დან 12 საათამდე.

ადრესი: Тифлис, контора редакціи „Чвени Гза“, Великокняжеская № 35.

№ 9 ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 9

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## ჩვენი გზა

**გამოდის თფილისში 1907 წლის 2 სექტემბრიდან.**

გაზეთის ფასი: ერთი წლით 7 მან., ნახევარი წლით 4 მან., ერთი თვით ქალაქ გარეთ 90 კაპეიკი.

დასაბეჭდათ გამოგზავნილი წერილები სუფთათ უნდა იყოს დაწერილი ერთ გვერდზე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ერთი თვით ინახება მხოლოდ ვრცელი წერილები. წერილობითი ცნობებისთვის საჭიროა საფოსტო მარკები. პირადათ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე. კვირა-უქმეობით დილის 11 დან 12 საათამდე.

განცხადების ფასი: პირველ გვერდზე სტ. პეტიტით 15 კ., მეოთხეზე 10 კაპ.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, контора редакціи „Чвени Гза“, Великокняжеская № 35.



გაზეთ „ჩვენი გზა“-ს რედაქციის კანტორა დაჟინებითა სცხოვს, როგორც აგენტების, ისე სხვათა საყურადღებოთ, რომ ფული უსათუოდ შემდეგ ადრესზე უნდა გამოიგზავნოს: Тифлисъ, типографія „Сорапань“ НЕСТОРУ КИШВАРДІЕВИЧУ ЦИНЦАДЗЕ.

დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდათ ივ. გომელაურის მიერ შედგენილი სახელმძღვანელო

სკოლებში შესასწავლი

**ქართველი მწერლები**

მათი სურათებით და ბიოგრაფიებით.

წიგნი პირველი,

მეორე გამოცემა, შევსებული და შესწორებული. შეიცავს 416 გვერდს და **ღირს უდით თოთხმეტი შაური.** მაღაზიებს და სასწავლებლებს დაეთმობა 20 პროცენტათ.

ამ წიგნის საწყობი იმყოფება „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში, (სასახლის ქუჩა, თავად-აზნაურთა ქარვასლა). ადრესი: Тифлисъ, Общество распространенія грамотности среди грузинскаго населенія. (3—6—2)

მედიცინის დოქტორი

**ს. ა. ლიური**

საიმპერატორო სამხედრო-საექიმო აკადემიის კლინიკის ყოფილი ორდინატორი **ყურის, ყელის და ცხვირისა** იღებს ყოველდღე ავათმყოფებს დღის 1—2 ს. და საღამოს 5—7 ს. პეტერბურგის ქ, № 10. ტელეფ. № 595.

**ქუთაისის** სამეურნეო სკოლის პედაგოგიური რჩევა ამით აცხადებს, რომ მისაღები ეგზამენები მოსამზადებელ კლასში უკვე გათავდა, ხოლო პირველ კლასში მისაღები ეგზამენები დანიშნულია 24 სექტემბერს. (2—1)


### მუშათა კურიაში არჩევნების გამო.

—

დღეს უნდა მოხდეს არჩევნები მუშათა კურიაში. თფილისის მუშებმა უნდა აირჩიონ თავისი რწმუნებულები. ამ ფაქტს ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. ამ არჩევნებში მუშებმა საქვეყნოთ, აშკარათ უნდა გამოთქვან თავისი სურვილი, პირდაპირ და დაუფარავათ უნდა აღიარონ ვის, რომელ მიმართულებას ემხრობა ის. მცირეა მუშათა კლასის საარჩევნო უფლებები, ის საგრძნობელ დაღს ვერ დაასვამს არჩევნების საბოლოო შედეგს; მთელი თფილისის მუშები (დაახლოვებით 15 ათასი) ერთ „ვიბორშჩიკს“ ირჩევს მაშინ, როცა 8 ათასი ქალაქის ამომრჩეველს კანონით სამი „ვიბორშჩიკის“ არჩევის უფლებას აძლევს, ან კიდევ, რამდენიმე ასმა მემამულემ 7 „ვიბორშჩიკი“ უნდა აირჩიოს, მარა ამას ჩვენთვის იმდენი მნიშვნელობა არ აქვს, რამდენიც იმას, თუ როგორი შედეგი ექნება არჩევნებს თვით მუშათა კურიაში. ჩვენთვის უპირველესი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რას იტყვის მუშათა კლასი ამ არჩევნებში. ორი დუმის არჩევნებმა ნათლათ დაგვიმტკიცა ვისკენაა თფილისის მუშათა სიმპატია. ვფიქრობთ, რომ იმასვე დაამტკიცებს დღევანდელი არჩევნები. ის, ვინც სათავეში უდგა ჩვენში განმათავისუფლებელ მოძრაობას, ვისმა გამოღვიძებამაც ძირიანათ შესცვალა საზოგადოებრივი ფსიხოლოგია და ბრძოლის წყურვილი დაუბადა ყველა გაყვლეფილს და შევიწროებულს, ის კვლავ იტყვის თავის გაბედულ სიტყვას, კვლავ დაანახვებს ჩვენს მოპირდაპირეებს, რომ იგი კვლავინდებურათ ფხიზლობს და ამ საერთო დაკნინების დროს უკეთესი მერმისისათვის მოქმედებაზე ხელს არ იღებს. კლასი, რომლის ბედნიერება მხოლოდ მომავალშია და წარსული და აწმყო კი მისთვის მარტო წვალებაა—ეს კლასი ვერ შეურიგდება არსებულ გარემოებებს. დღევანდელი არჩევნები ამას დაამტკიცებს. ამიტომ თავისი მცირე საარჩევნო უფლებებით მუშებმა უნდა ისარგებლონ, რომ თვალი გადაავლონ წარსულს, გაარკვიონ დღევანდელი პოლიტიკური ვითარება, რაც უარსაყოფია წარსულის პრაქტიკიდან, უარყონ, რაც მისაღებია—მიიღონ და ამნაირათ, სწორი და ნათელი გზით წინ გაექანონ. არჩევნები არ უნდა მოხდეს მექანიკურათ, თანამედროვე კითხვების გამოურკვევლათ. თითოეული შეგნებული მუშა უნდა ეცადოს ამ კითხვების ფართოთ გამორკვევას. მუშათა მასსამ უნდა გაიგოს, რისთვის იღებს მონაწილეობას არჩევნებში, როგორია საზოგადოებრივი ძალთა დამოკიდებულება, როგორია მისი უახლოესი და უშორესი მიზანი და რა გზით, რა საშუალებით უნდა ეცადოს მათ განხორციელებას. როცა ასე მოვიქცევით, მხოლოდ მაშინ შეიძლება ვთქვათ, რომ ჩვენ გამოვიყენეთ არჩევნები მუშათა კლასიური თვითცნობიერებისა და ორგანიზაციის გასაძლიერებლათ.

თითოეული მუშა უნდა ეცადოს, რომ დღევანდელი არჩევნები ამ მხრით გამოიყენოს, რომ ამ არჩევნებში ნათლათ გამოჩნდეს პროლეტარიატის პოლიტიკური სიმწიფე, მის მიერ თავისი კლასობრივი ინტერესების შეგნება.

### პოლიტიკური მიმოხილვა.

—

გაზეთი „რუსი“, რომელიც ასე დახელოვნებულია უპარტიო კანდიდატების გამოძებნაში, აქვეყნებს საკუთარი თანამშრომლის ბაასს გრაფს ი. ი. ტოლსტოისთან. როგორც ჩანს, ტოლსტოი თავის პოლიტიკურ რწმენით კადეტებთან ახლოა. გრაფი მომხრეა საყოველთაო საარჩევნო უფლების და წოდებათა გათანასწორების, ის აუცილებელ საჭიროთ სთვლის სწავლის დემოკრატიზაციას და წინააღმდეგია ანტი-ებრაელურ პოლიტიკისა. გრაფი ამბობს: „მუშათა საკითხში **სერიოზული ანგარიში უნდა გაუწიოთ მარქსიზმს და მის დებულებებს.** მე მომხრე ვარ ფართე სოციალური რეფორმების... ყველაზე ადრე პროფესიონალურ კავშირებს სრული ნება უნდა მიეცეთ თავისუფლათ განვითარდენ“.

ამრიგათ ის პირები, რომლებსაც კიდევ ეტყობათ სიცოცხლის ნიშან-წყალი, იძულებული არიან დატოვონ ბიუროკრატიის ბუნაგი.

*
* *

გაზეთები გადმოგვცემენ, რომ ბიუროკრატიას დამზადებული აქვს ორი საყურადღებო რეფორმის პროექტი. ერთი სამიწათმოქმედო მთავარ გამგეობას შეეხება და მეორე სახელმწიფო ბანკს. ჩვენ ვიცით, რომ ორი წლის წინეთ სამიწათმოქმედო **სამინისტრო** არსებობდა, შემდეგ ის მთავარ **გამგეობათ** გადაქციეს. ახლა მთავრობას აგრარულ კითხვის კარგათ გადასაჭრელათ განუზრახავს **ისევ** სამინისტროს შექმნა. რაც შეეხება სახელმწიფო ბანკს, ამის რეფორმაც ძლიერ საეცხოვოა. დღემდის სახელმწიფო ბანკის გამგე თანაშემწე იყო ფინანსთა მინისტრისა. დღეს ბიუროკრატიას გადაუწყვეტია გამგეს მინისტრის უფლებები მისცეს და საბჭოში მიიღოს გადამწყვეტი ხმით.

როგორც ხედავთ, ახლო მომავალში შორს წავალთ რეფორმების მხრით.

*
* *

წარსულ კვირაში მოსკოვში მეტათ საყურადღებო პროცესი გაირჩა. პასუხისგებაში სხვათა შორის, მიცემული იყო მოსკოვის ცნობილი ნაფიცი ვექილი ჟდანოვი.. ჟდანოვს აბრალებდენ, რომ მას სოციალდემოკრატიულ ორგანიზაციისთვის ლიტერატურის გასატანათ და სხვა საჭიროებისათვის ყავდა ცხენი, რომ ეს ცხენი მან ათხოვა ექსპროპრიატორებს.. სასამართლოში გამოირკვა, რომ ჟდანოვი სოციალდემოკრატების ლიტერატურულ ჯგუფს ეკუთვნოდა და თავის რწმენით მას არ შეეძლო ხელი გაემართა ექსპროპრიატორებისათვის. ჟდანოვს იცავდა მეორე დუმის ყოფილი დეპუტატი მაკლაკოვი და ცნობილი ვექილი მურავიოვი. სამხედრო სასამართლომ ჟდანოვი უდანაშაულოთ აღიარა. როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, პროკურორი არ დაკმაყოფილებულა ასეთი გადაწყვეტილებით და პროტესტი განუცხადებია. ჟდანოვი ისევ ციხეში ზის.

## ახალი ამბები

—

**არჩევნები.** დღეს, 14 სექტემბერს, მოხდება არჩევნები მუშათა რწმუნებულებისა ქალაქ **თფილისში, გორის და ბორჩალოს მაზრებში.**

✦ **ნამესტნიკის ცირკულიარი.** კავკასიის ნამესტნიკმა გრაფ ვორონცოვ-დაშკოვმა გაუგზავნა ყველა კავკასიის სამხედრო გენერალ-გუბერნატორებს, ბაქოს გრადონაჩალნიკს და კავკასიის ყველა ადგილების, რომლებიც სამხედრო წესებზე არის გამოცხადებული, უფროსებს, რათა ზემოხსენებულ ადგილებში მცხოვრებთ ჰქონდეთ საშუალება ნაყოფიერად წაიყვანონ არჩევნები, ამ ადგილებში არ იქმნეს სასტიკი ზომების მიღება, ხალხს ჰქონდეს საშუალება საარჩევო კრებების მოხდენისათვის. მხოლოდ იყოს ერთნაირი ზედამხედველობა. წესიერება არ იქმნეს დარღვეული.

✦ **საარჩევნო ადგილები.** თფილისში არჩევნების მოსახდენათ ქალაქის საბჭოს მიერ დანიშნულია შემდეგი ადგილები: 1 განყოფილებისათვის სახალხო სახლი ზუბალაშვილისა, 2-სათვის—ქალაქის საბჭოს დარბაზი, 3-სათვის სახალხო თეატრი ვარშამოვისა ავლაბარში.

✦ **ქალაქის საბჭოს თხოვნა.** ქალაქის საბჭომ თხოვნით მიმართა ქ. სათ.-აზნაურთ ბანკის გამგეობას დაუთმოს მას 27 და 28 სექტემბერს სახ. სათ. ქალაქის მესამე ნაწილის ამრჩეველთა სიეზდის მოსახდენათ ვარშამოვის თეატრი ავლაბარში. ამასთან ქალაქის საბჭო აღუთქვამს, რომ განსაკუთრებული ზედამხედველები ეყოლება არჩევნების დღეს, რათა არაფერი იქნას გაფუჭებული. ყოველ შემთხვევაში თუ ამ დღეებში რაიმე წაუხდა შენობას, საბჭო კისრულობს მის შესაკეთებელ ხარჯებს.

✦ **ახალი გაზეთი.** 16 სექტემბრიდან ქუთაისში გამოვა ყოველ-კვირეული გაზეთი ქართულ ენაზე „ცისკარი“.

✦ **ახალი ეპისკოპოსი.** როგორც გადმოგვცეს, დონის სასულიერო სემინარიის რექტორი (დავით კაჭახიძე) ინიშნება ალავერდის ეპისკოპოსათ.

✦ **სამსახურიდან დათხოვნა.** როგორც გადმოგვცეს მღვდელი ლ. წულაძე სამსახურიდან გადაყენებულ იქნა.

✦ **არჩევნების გამო.** თფილისის მაზრის საარჩევნო კომისიამ განიხილა რა საერთო სია თფილისის ამომრჩევლებისა, წარდგენილი ზემოხსენებულ კომისიაში ქალაქის საბჭოს მიერ დაადგინა, ამ სიიდგან 175 ამომრჩეველი მიეწეროს რუსის საარჩევნო კურიას.

✦ **კრება.** შაბათს 15 სექტემბერს დღის 2 ს. ქალაქის საბჭოს ინიციატივით ქ. თვითმართველობის დარბაზში შედგება საზოგადო კრება პურის მცხობლებისა, მუშების წარმომადგენლებისა და საჭირო სამეურნეო დაწესებულებათა ზედამხედველების; თათბირი ექნებათ იმის შესახებ, რომ გამოიკვლიონ მიზეზები პურის გაძვირებისა მასთან დაასახელონ საშუალება ამის წინააღმდეგ ბრძოლისათვის.

✦ **უბედურება.** ცნობილი თფილისში კ. ა. ბებუთოვი, რომელიც რკინის გზაზე ბერლინის ახლო კატასტროფის დროს გარდაიცვალა, ამ დღეებში მოასვენებენ; მისი დაკრძალვა განზრახული აქვთ კვირას, 16 სექტემბერს ვანქის საკრებულო ტაძარში.

✦ **განთავისუფლება.** ამას წინეთ სომხური გაზეთის „ხარისხის“ რედაქციაში დაპატიმრებული მოსამსახურე ასატურა და სომხის ნერსესიან სემინარიის მოწაფე გეურქოვი ციხიდან გაანთავისუფლეს.

✦ **თფ. გენ.-გუბ. განკარგულებანი:** პეტერბურგის მცხოვრები ელენა საპოჟნიკოვა, როგორც მავნე პირი საზოგადოებისათვის, იგზავნება არხანგელის გუბერნიაში ადგილობრივ პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ სამხედრო წესების მოხსნამდის.—ქალ. გორის მოვაჭრეები, სობოროს ქუჩაზე: ნ. წკრიალაშვილი, გ. მეზვრიშვილი, დ. გასიტაშვილი, მ. ქურციკაძე სავალდებულო დადგენილების დარღვევისათვის დაჯარიმებულ იქნენ წკრიალაშვილი, ქურციკაძე და მიქაძე 100 მან. თითო. მეზვრიშვილი და გასიტაშვილი 200 მან. თითო. უფროსი მეეზოვე ალექსი მინკინი თავის ვალდებულების უწესოთ შესრულებისათვის დაპატიმრებულ იქნა 2 თვით ციხეში; შემდეგ როგორც მავნე პირი საზოგადოების. იგზავნება თფილისის გუბერნიიდან სამხედრო წესების მოხსნამდის. ტულის გუბერნიის სოფ. ბოგოროდიცკის მცხოვრები ვლ. გრომოვი და თფილისის მცხოვრები ვიქტორ კარანტოვი, როგორც მავნე პირნი საზოგადოებისა იგზავნებიან ვიატკის გუბერნიაში ადგილობრივი პოლიციის მხედველობის ქვეშ სამხედრო წესების მოხსნამდის.—თფილისის სახლის პატრონი, რაკეტნი ქუჩაზე მცხოვრები, ემილია სუხაცკაია დაჯარიმებულ იქნა 25 მანეთით ანტსანიტარულათ ეზოს შენახვისათვის.—ლუდხანის პატრონი ივანე რამაზაშვილი, სოფ. მეხეთის მცხოვრები ბაგრატ ხუბიეროვი და თფილ. მაზრის სოფ. ხაშმის მცხოვრები ნიკოლოზ მჭედლიშვილი როგორც მავნე პირნი საზოგადოებისათვის ადგილობრივი პოლიციის მხედველობის იგზავნებიან პერმის გუბერნიაში სამხედრო წესების მოხსნამდე.—თელავის მაზრის სოფელ კონდოლის მცხოვრებს ვლადიმერ ელბაქიძეს როგორც მავნე პირს საზოგადოებისათვის აეკრძალა ცხოვრება თფილისში და მის გუბერნიაში სამხედრო წესების მოხსნამდე.—ციმბირში გადასახლებული და ახლა გამოქცეული ვიატკის გუბერნიიდან თფ. მაზრის სოფ. გულოვანის მცხოვრები ალექსი ცხვედაძე უკანვე იგზავნება ვიატკის გუბერნიაში ადგილობრივი პოლიციის მხედველობის ქვეშ.—თფილისის მაზრის სოფ. ზაზასანელის მჟავინის სოფ. საზოგადოების მცხოვრებს ივანე ბეკოშვილს პოლიციის ბრძანების აუსრულებლობისათვის მიესაჯა ციხეში ჯდომა ერთი თვით.

✦ **რკინის გზის მუშებისაგან** შეგროვილი 436 მან. 32 კ. ადელხანოვის მუშების სასარგებლოთ, დანიშნულებისამებრ გადაეცა მათ უპარტიო მუშათა ბიუროს. იმავ ბიუროს გადაეცა 2 მან. მუშა სარქისასაგან.

✦ **შერეული კომისიის შესახებ.** 12 სექტემბერს ქალაქის თვითმართველობის დარბაზში მოწვეული კრება შერეულ კომისიისა, რომელსაც მინდობილი აქვს 4 მარტის კანონის, ნორმალური შესვენების წესების შემუშავება მუშებისა და მოსამსახურეთათვის სამრეწველო დაწესებულებებში არ შესდგა. თავმჯდომარე არღუთინსკი აცხადებს, რომ თუ სამშაბათს, 18 სექტემბერს საღამოს 7 საათზე, კომისია, არ შეიკრიბება იგი თავისთავათ დაშლილი იქნება, რადგანაც მეხუთეჯერ მოწვეული კრება არც ერთხელ არ შემდგარა.

✦ **შანტაჟი.** 12 სექტემბერს პოლიციამ დააპატიმრა: ალექსი ჯიბლაძე და ალექსანდრე ჭრელაშვილი, რომლებთაც ავჭალის ქუჩაზე № 77 კოშკინკის ფქვილის საწყობის გამგისათვის გაუგზავნიათ მუქარის წერილი, რომელშიც თხოვდენ მას 300 მან. აღნიშნულ დღეს მისვლან ფულის მისაღებათ, ფულის მაგიერ პოლიციელები დახვედრია მათ და შანტაჟისტები დაუპატიმრებიათ.

✦ **თავ-დასხმა.** 12 სექტემბერს ღამით თავს დასხმიან ვაგზლის ქუჩაზე გამვლელ ბაირამ მოლდა-ოღლის, იგი ხანჯლით დაუჭრიათ; წაურთმევიათ 60 მან. და მიმალულან. დაჭრილი საავადმყოფოში წაიყვანეს.

✦ **კაცის დაკარგვა.** გიორგი ესეს-ძე კვინტრაძე 14 წლის ახალგაზდა უმაწვილი, რომელიც 1906 წელს მსახურებდა ქ. ფოთში უგზო უკვლოთ სადღაც გადაიკარგა, ნათესავები სთხოვენ საზოგადოებას. თუ ის სადმე აღმოჩნდეს, აცნობონ „ჩვენი გზის“ რედაქციას.

✦ **ქურდობა.** 12 სექტემბერს, ფრანგების კონსულის ოთახის კარიდორიდან, რომელსაც მთხოვნელებს იღებდა იგი, ვიღაცამ მოიპარა ხალიჩა ღირებული 50 მან.

✦ 12 სექტემბერს, „ტარგოვო-პრომიშ.“ რედაქცია-ბიუროდან (დვორც. ქუჩაზე), ვიღაც ბოროტ-გამზრახველებს მოუტაციათ კოპიების გადასაღები აპარატი, ღირებული 100 მან.

✦ **ძარცვა.** 12 სექტემბერს, დილის 12 ს. ალექსანდრე დანდუროვის სანთლის ქარხანაში (დვორცოვის ქუჩაზე № 2), ორი უცნობი ბოროტ-გამზრახველნი შეცვივნულან და კასირისათვის ფული მოუთხოვნიათ, კასირმას ყვირილი დაუწყია, რის შემდეგაც ბოროტ-გამზრახველებს შეშინებიათ და გაქცეულან.

✦ 12 სექტ., საღამოს 7 ს. დომანის სახლიდან პასტერის ქუჩაზე, ვიღაცებს მოუპარავს სხვადასხვა ნივთები ღირებული 35 მ.

## ადგილობრივი პრესა

—

3 ივნისიდან დაწყებული ადგილობრივ „ჭეშმარიტ რუსთა“ ორგანო „გოლოს კავკაზა“ აშკარათ და გულდასმით ირწ-

მუნება, რომ რუსეთში არავითარ კონსტიტუციისათვის ნიადაგი არ არსებობს და საეჭვოც არის როდისმე ფეხი მოიკიდოს რამე კონსტიტუციამ, რადგან ამას ეწინააღმდეგება თვით ხალხის სული. ერთობ უცნაური და თავისებურია მისი არგუმენტაცია. ასე, გუშინწინდელ ნომერში გაზეთი სწერს:

„ვინაიდან რუსი ხალხის უფლებრივ ცნობიერებას თავისი სულით ერთიანათ ეწინააღმდეგება დასავლეთ ევროპის გემოზე გამოჭრილი, ყოველგვარი კონსტიტუცია, ამიტომ თავისუფლებათა გამოცხადებაზე ხალხს შეეძლო ეპასუხნა არა ცნობიერათ, არამედ ინსტინქტიურათ. ამიტომაც ალაპარაკდენ ბნელი მასსის ველური ინსტინქტები და აბრიალებულ ცეცხლით გავარვარებულმა სოფლებმა გააშუქეს რუსის პოლიტიკური უგზოობა (бездорожье)“.

გამოდის რომ, თურმე როდესაც სოფლებში იგზავნებოდა დამსჯელი რაზმები, ან ხდებოდა შეტაკება აგრარულ ნიადაგზე, ანუ კიდევ ხულიგანთა ბრბო, იმავ „ჭეშმარიტ რუსთა“ ხელმძღვანელობით, ეცემოდა ხოლმე მშვიდობიან მცხოვრებლებს, თურმე ყველა ამით ხალხი „პასუხს აძლევდა თავისუფლებათა გამოცხადებას“, სხ. სიტყვებით რომ ვთქვათ, ხალხი თურმე თვითვე იკლებს და აწიოკებს თავის თავს, ხალხი თურმე, თავის თავის ამოჟლეტაში, თავის საკუთარ ტანჯვაში ხედავს სიამოვნებას... გაზეთი განაგრძობს:

„დაჩირქებული იარა საჯ.ლმწიფო ორგანიზმისა გასკდა და შემთხვევამ „ძირის“ გმირები ამოიყვანა რუს სახალხო ზღვის ზედა პირზე. ინტელიგენცია მოუსვენრათ აქეთ-იქით აწყდება, ცეცხლზე ნავთს ასხამს და ამ ჯამაურობაში აწყობს და აკეთებს თავის პარტიულ საქმეებს და ანგარიშებს; მაგრამ იქ, ხალხის სულის სიღრმეში, გლეხობის ცენტრის თვით საღ გულში, ყველა ამასა სთვლიან ბატონების ჩხირ-კედელობათ“ ასეთია ნაყოფი ჩვენის ისტორიულის წარსულისა“.

აღსანიშნავია, რომ ისე არავინ არ ამცირებს და ფეხ-ქვეშ არ სთელავს თავისი ხალხის ვინაობას, კულტურულ ავლადიდებას, ისეთი ზიზღითა და სიძულვილით არავინ ეპყრობა თავისი ქვეყნის წარსულს და აწმყოს, როგორც სწორეთ „პატრიოტები“. ეს ბატონები, ეს „ჭეშმარიტი რუსები“ განსაკუთრებით ბეჯითათ მუშაობენ ამ მხრივ მაშინ, როცა საქმე ეხება ცხოვრების რაიმე განახლებას. ასე მაგ. როცა ერთხელ კროპოტკინი აღწერდა ერთ ამერიკულ ჟურნალში რუსეთის პოლიტიკურ მონობის შავბნელ მდგომარეობას, მას (კროპოტკინს) გამოეკამათა პობედონოსცევი და გადასძახა ამერიკას და ევროპას: არაფერი არ დაუჯეროთ ჩვენ მიერ გაძევებულს (ემიგრანტს), რუსისა მთავრობა ძალიან ჭკვიანია, მარა, რუსის ხალხი ჯერ ისევ ნახევრათ ველურია და აქ არავითარი თავისუფლება და კონსტიტუცია არ არის შესაძლებელიო...

„გოლ. კავ.“ აც აბოლოებს“ თავის ფილოსოფიას:

„ჩვენ თვალწინ ორი პრინციპი ებრძვის ერთმანეთს: მიმბაძველობის და თავისებურობის (самобытный) პრინციპი; ნამყნობი განათლება ებრძვის ცხოვრებას. ხალხის მასსის ინდიფერენტიზმი (გულგრილობა) საარჩევნო კამპანიაში—ეს ხალხის დაღლილობის შედეგი როდია,—არა, ეს არის ორგანიული ნაციონალური რამ. ხალხი არ მისდევს საარჩევნო ოხუნჯების საარჩევნო მოწოდებას, რადგან ინსტინქტიურათ გრძნობს, რომ“...“ (ეს პოლიტიკური არჩევნები არ შეესაბამება იმის ბუნებას).

აგრე თუ არის, მაშ, მთავრობას რისთვისღა დასჭირდა ასე სასტიკათ შეეზღუდა ხალხის საარჩევნო უფლება და თვით საარჩევნო კამპანიაში ამომრჩევლებს რათ შეუკრეს ხელ-ფეხი ათასგვარი რეპრესიებით?!. მაგრამ „ჭეშმარიტ რუსებს“ თავის ლოღიკა აქვთ..

## პარტიების ცხოვრებიდან

**პეტერბურგის მენშევიკ სოც.-დემოკრატთა** თათბირზე გამოირკვა, რომ ქალაქის საერთო კონფერენციამ მუშათა კურიის არჩევნების შესახებ დაადგინა შემდეგი: თუ რომელსამე საარჩევნო კრებაზე კამათის შემდეგ შესამჩნევი უმრავლესობა ბოიკოტს მიემხრობა, სოც.-დ.-ები უნდა დაემორჩილონ ასეთ გადაწყვეტილებას და ამასთან ცალკე განცხადებით უნდა მიუთითონ ასეთი გადაწყვეტილების მავნებელ შედეგზე. ცენტრალურ კომიტეტის წარმომადგენელმა, რომელიც თათბირს დაესწრო, აღნიშნა—ასეთი გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება რუსეთის საერთო კონფერენციის დადგენილებასო. ზოგიერთმა დამსწრეთაგანმა აღნიშნეს, რომ ასეთი გადაწყვეტილებით ბოლშევიკ-ბოიკოტისტებს, ს.-რ.-ების დახმარებით, შეუძლიათ სრულიად უქმი გახადონ დადგენილება არჩევნებში მონაწილეობის შესახებ. თათბირს არავითარი გადაწყვეტილება არ მიუღია და მხოლოდ ის გამოთქვა, რომ ცენტრ. კომ.-მა თავისი ჩარევით თავიდან უნდა აგვაცილოს ქალაქის საერთო კონფერენციის გადაწყვეტილების შედეგებიო.

**პეტერბურგის მენშევიკები** განაგრძობენ ბრძოლას ბოიკოტისტურ მიმართულების და საარჩევნო გულგრილობის წინააღმდეგ. ამ დღეებში მათ გამოუშვეს ფურცელი, რომელშიაც ნაჩვენებია ბოიკოტისტურ ტაქტიკის დიდი მავნებლობა და არჩევნებში მონაწილეობის საჭიროება.

**რ. ს. დ. მ. პარტიის პეტერბურგ. კომიტეტის** წარმომადგენლის განცხადებამ პარტიიდან სტუდენტთა ფრაქციის მენშევიკთა და ბუნდოველთა გამორიცხვის შესახებ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია პარტიულ წრეებში. ეს კითხვა გადაეცა განსახილველათ პარტიის ცენტრ. კომიტეტს.

**პეტერბურგის მენშევიკების** მიერ გამოცემულ ფურცლის „მუშათა დეპუტატი“-ს მოწინავე წერილში ავტორი უჩვენებს პარლამენტის როლზე დასავლეთ ევროპაში და ამბობს, იქ მუშები ბოიკოტს არ უცხადებენ პარლამენტს იმიტომ კი არა, რომ პარლამენტი მუშათა ინტერესებს იცავს, არამედ იმიტომ, რომ ისინი დარწმუნდენ, რომ კაპიტალისტურ წეს-წყობილებას უნდა ებრძოდენ ყოველი საშუალებით. მეორე წერილში ლაპარაკია ახალ საარჩევნო კანონის-მიერ შექმნილ მდგომარეობის შესახებ. ავტორი ხაზ-გასმით აღნიშნავს, რომ ეს კანონი უნდა გამოვიყენოთ ხალხის ინტერესებისათვის, ჯერ სანამ გლეხებს და მუშებს მთლათ არ გამოგლიჯეს ხელიდან საარჩევნო უფლება.

**კადეტთა პარტიის მოსკოვის საგუბერნიო კომიტეტის** კრებაზე, რომელსაც სამაზრო კომიტეტების წარმომადგენლებიც დაესწრნენ, გამოირკვა, რომ მაზრებში კადეტთა პარტიის მომხრე ამომრჩევლებში გამეფებულია მხნე განწყობილება და იმის იმედი, რომ მაზრებში ბლომათ გავლენ კადეტების ამომრჩევლები. გადაწყვეტილ იქნა, რომ იმ შემთხვევებში, როცა საკუთარ ვიბორშჩიკების გაყვანა შეუძლებელი იქნება, ხელი შეუწყონ სხვა პროგრესიულ პარტიების ამომრჩევლების გაყვანას.

**ბუნდის ცენტ. კომ—ის** დადგენილებით ადგილობრივმა ორგანიზაციებმა, მუშათა კურიაში საარჩევნო კამპანიის გასატარებლათ, გადაწყვიტეს დროგამოშვებით გამართონ ხოლმე ბუნდის მუშაწევრთა და პროფეს. კავშირების წარმომადგენელთა კონფერენციები. ამ კონფერენციებმა უნდა შეადგინონ ადგილობრივი საარჩევნო კომიტეტები, დაასახელონ და დაამტკიცონ ვიბორშჩიკები განიხილონ ქალაქის საარჩევნო კომიტეტების დადგენილებანი და სხ. ამას გარდა დადგენილია მოწვეულ იქნას ყველა ფაბრიკა-ზავოდების და მუშები პროფეს. კავშირების წარმომადგენელთა კონფერენციები რწმუნებულთა კანდიდატების ერთათ გამოსარკვევათ. ესევე კონფერენციები განიხილავენ კითხვებს მუშათა კურიაში შეთანხმების შესახებ და სხ.

**რ. ს. დ. მ. პ.—ის** პეტერბურგის ცენტრალური საარჩევნო კომისია შეუდგა საარჩევნო კამპანიის ტეხნიკურ გეგმის შემუშავებას. ქალაქი გაყოფილია საარჩევნო ოლქებათ საპოლიციო უბნების დაგვარათ, და არა პარტიის რაიონულ ორგანიზაციების დაგვარათ. სარაიონო საარჩევნო კომისიები ირჩევენ წარმომადგენლებს ცენტრალურ კომისიისათვის. საუბნო კომისია უნდა ხელმძღვანელობდეს უბნის არჩევნების როგორც პოლიტიკურ, ისე ტეხნიკურ მხარეს.

**კიევის ს.-რ.-თა ორგანიზაციების საოლქო ყრილობამ**, დაადასტურა დუმის არჩევნებში მონაწილეობის უარყოფა; ამასთან გადასწყვიტა შეიმუშავოს ექსპროპრიაციებთან ბრძოლის გეგმა და მოიწვიოს ამ ბრძოლაში დასახმარებლათ ყველა სოციალისტური პარტიები.

**რ. ს. დ. მ. პ— ის პეტერბ. კომიტეტმა**, განიხილა ინციდენტი, რომელიც მოხდა სტუდენტთა ს.-დ. ფრაქციაში სტუდენტების ტაქტიკის შესახებ კამათის დროს. კომიტეტმა წესიერათ არა სცნო ის „ვეტო“ (აკრძალვა), რომელიც მისმა წარმომადგენელმა დაადო ფრაქციის დადგენილებას, და მოითხოვა მომხდარი კონფლიქტი განსახილველათ გადაეცეს მას, პეტ. კომ-ს. ხოლო ფრაქციის მიერ მიღებული ტაქტიკური რეზოლიუცია კომიტეტმა სცნო მავნებლათ და მიზნის შეუფერებლათ.

„რუსკოე ზნამია“ ყოველ დღე ბეჭდავს ცნობილ იოანე კრონშტადსკის მიერ 300 მანეთის შეწირვის ამბავს „რუსკ. ზნ.“-ის დასახმარებლათ. თავის წერილში, რომელიც კრონშტადსკის ამ ფულებთან მიუყოლებია, ეს ხუცესი წმიდა საქმეს უწოდებს ასეთ დახმარებას.

**უკრაინის სოც.-დემ. მუშათა პარტია** მართავს სამაზრო და საგუბერნიო კონფერენციებს მუშათა და გლეხთა ორგანიზაციების და აგრეთვე პარტიის ცალკე წევრთაგან. კონფერენციები განიხილავენ უმთავრესათ პრაქტიკულ კითხვებს საარჩევნო კამპანიის ორგანიზაციის შესახებ. მაგრამ დგება ხოლმე ისეთი კითხვებიც, რომლებიც არჩევნებს არ შეეხება. მაგ. ზოლოტანოშის სამაზრო კონფერენციაზე დაყენებული იყო კითხვა ცეცხლის წაკიდების, ძარცვა-გლეჯის და ექსპროპრიაციების შესახებ, და გამოტანილ იქნა რეზოლიუცია, რომელიც კიცხავს ეკონომიურ და პოლიტიკურ ტერორს. ამ კითხვამ კონფერენციაზე, რომელიც უმეტეს ნაწილათ გლეხებისაგან იყო შემდგარი, ცხარე კამათი გამოიწვია: გლეხებმა განაცხადეს—გაბოროტებული ქურდობა და ცეცხლის წაკიდება ერთიანათ ძირს უთხრის შეგნებულ ელემენტების ორგანიულ მოქმედებას გლეხების შეკავშირების საქმეში, ხელს უშლის წესიერ ეკონომიურ ბრძოლას და საზოგადო მოღვაწეობასო. საზოგადოთ საარჩევნო მუშაობამ შესამჩნევათ გამოაცოცხლა გლეხთა მასსა. ჩნდება ინტერესები პოლიტიკურ ცხოვრებისადმი. რეზოლიუციაში არჩევნებში მონაწილეობის შესახებ, სხვათა შორის, ასეთი დასაბუთებაა: არჩევნებში მონაწილეობა გვიჩვენებს, თუ რამდენათ ფეხი მოიკიდა ხალხის მასსის შეგნებაში სახალხო წარმომადგენლობის იდეამ, ხოლო მუშა ხალხის რამდენიმე წარმომადგენელი, რომლების დუმაში გაყვანა მოხერხდება, ეტყვიან ხალხს, როგორი წარმომადგენლობა ესაჭიროება მას და რა გზით შეიძლება მისი მოპოვება. არჩევნებში მონაწილეობა უნდა იქნეს მიღებული კიდევ იმიტომ, რომ რუსის ხალხის შეურაცხმყოფელმა კავშირმა ვერ შეიძლოს ხალხის სახელით ერთიანათ გააუქმოს სახალხო წარმომადგენლობა და ქვეყანას ძველი წყობილება დაუბრუნოს, რაც კავშირის მიზანს შეადგენს. ტერორის და ექსპროპრიაციების დამგმობ რეზოლიუციის მიღებით და ხალხში გავრცელებით შეიძლება შეიცვალოს დამოკიდებულება „დემოკრატებსა“ და გლეხთა დანარჩენ ელემენტებს შორის, ეს რეზოლიუცია უჩვენებს ყველას, რომ „დემოკრატებს“ ნამდვილათ არაფერი საერთო არა აქვთ ქურდებთან და მკვლელებთან. ასე ასაბუთებდენ ამ რეზოლიუციის მიღებას.

## საერთაშორისო სოციალისტური კონგრესი შტუტგარტში

(შემდეგი, იხ. „ჩვენი გზა“ № 8)

კონგრესი ხედავს სამხედრო დარგის დემოკრატიულ ორგანიზაციაში, რომელიც უარყოფს მუდმივ ჯარს და ამყარებს ხალხურ მილიციას, არსებით გარანტიას (თავდებს) იმისას, რომ ომები შეუძლებელი გახდენ და ეროვნულ განხეთქილებათა მოსპობა გაადვილებულ იქნეს.

ინტერნაციონალს არ ძალუძს სხვა და სხვა სახელმწიფოში, რომელნიც ბუნებრივათ განსხვავებულნი არიან ერთი მეორისაგან, დროის და ადგილის შესაფერი, მუშათა კლასის აქტიური ნაბიჯები, გამოსვლა მილიტარიზმის წინააღმდეგ ერთ და იმავე უცვალებელ, გაყინულ ფორმებში გამოხატოს. მაგრამ ამავე დროს მას აძევს მოვალეობათ, მუშათა კლასის მისწრაფებანი მილიტარიზმის და ომის წინააღმდეგ, რაც შეიძლება, განამტკიცოს და ერთმანეთს დაუკავშიროს.

ბრიუსელის საერთაშორისო კონგრესის შემდეგ პროლეტარიატმა თავის დაუღალავ ბრძოლის დროს მილიტარიზმის წინააღმდეგ, უარყო სამხედრო მომზადებისთვის საჭირო საშუალებანი, ამავე დროს იგი მისწრაფოდა შეუჩერებლათ სამხედრო ორგანიზაციის დემოკრატიზაციისადმი, ამ ხნის განმავლობაში მან ბევრისაგან ბევრ სხვა და სხვა საბრძოლველ ფორმებს მიმართა, რომ ომების გამოწვევა ჩაეშალა, რომ აგრეთვე ომების მოლოდინისაგან გამოწვეული საზოგადოების აბობოქრება მუშათა კლასის განსათავისუფლებლათ გამოეყენებია, მაგ., შეთანხმება ინგლისის და საფრანგეთის პროფესიონალურ კავშირთა შორის ფოშადის კონფლიქტის დროს, იმ მიზნით, რომ მშვიდობიანობა უზრუნველყოფილი გიმხდარიყო და ხსენებულ სახელმწიფოთა შორის მეგობრული დამოკიდებულება განახლებულიყო. სოციალისტურ პარტიების გამოსვლა გერმანიის და საფრანგეთის პარლამენტებში მაროკოს საკითხის დროს და მანიფესტაციები, რომელნიც მათ გამოიწვიეს იმავე მიზეზით ორივე სახელმწიფოში; საერთო გამოსვლა ავსტრიის და იტალიის სოციალისტების, რომელნიც ტრიესტში შეიკრიბენ, რომ ორივე სახელმწიფოთა შორის განხეთქილება თავიდან აეცილებიათ; ენერგიული გარევა შვეციის მუშებისა, რომ შვეციის თავ-დასხმა ნორვეგიაზე ჩაეფუშათ; და სასრულ, რუსეთის და პოლონეთის სოციალისტურ მუშების და გლეხების გმირული მასსიური ბრძოლა, რომ მთავრობისაგან გამოწვეულ ომისთვის წინააღმდეგობა გაეწიათ, მისთვის ბოლო მოეღოთ და კრიზისი სახელმწიფოს და მშრომელ კლასების განსათავისუფლებლათ გამოეყენებით. ყველა ეს მისწრაფებანი ამტკიცებენ, რომ პროლეტარიატის ძალა იზრდება და აქედან, იზრდება მისი ლტოლვილებაც, რომ გაბედულათ საქმეში გარევით მშვიდობიანობის არსებობა უზრუნველყოს.

მუშათა კლასის გამოსვლა მით უფრო მდიდარ შედეგიანი იქნება, რამდენათაც უფრო განუწყვეტელ აგიტაციით მომზადებულ იქნება ხალხი და რაც უფრო სხვა და სხვა ერთა პარტიები ინტერნაციონალისაგან წაქეზებული და ერთმანეთთან შეკავშირებული იქნება.

კონგრესი დარწმუნებულია, რომ პროლეტარიატის გავლენის ქვეშ მთავრობათა საცოდავ ნაბიჯების (ჰააგის კონფერენცია და სხვა) მაგივრათ მედიატორულ სამსაჯულოთა მოწყობას და მოქმედებას შეუძლია უზრუნველყოს სამხედრო მზადების მოსპობა, რაც შესაძლებლათ ხდის, რომ ფულის და ძალის აუარებელი ხარჯი, რომელსაც ნთქავს სამხედრო მზადება და ომები, კულტურულ საქმეს მოხმარდეს.

თუ რომელიმე სახელმწიფოს ომი მოელის, მაშინ ადგილობრივი მშრომელი კლასები და მათი წარმომადგენელნი პარლამენტში მოვალე არიან, საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროს დახმარებით, ყოველი ზომა მიიღონ, რომ შესაფერ საშუალებათა ხმარებით ომის აფეთქება ჩაშალონ, რომელნიც (საშუალებანი) კლასობრივ ბრძოლის და საერთო პოლიტიკურ სიტუაციის გამწვავების დაგვარათ ბუნებრივათ იცვლებიან.

თუ, მიუხედავათ ამისა, ომი მაინც გაჩაღდა, ისინი მოვალე არიან გამოექომაგონ მის ჩქარა ჩაქრობას და ყოველი ღონე იხმარონ, რომ ომის მეოხებით გამოწვეული ეკონომიური და პოლიტიკური კრიზისი ხალხის ასამოძრავებლათ გამოიყენონ და მით კაპიტალისტურ კლასობრივ ბატონობის მოსპობა დააჩქარონ“.

როგორც მკითხველი ხედავს, რეზოლიუცია ფრიად გრძელი და რამდენათმე მოუხეშავი გამოვიდა. ეს გულახდილათ განაცხადა კონგრესზე ვანდერველდმა და მიზეზათ ის მოიყვანა, რომ კომისიას არ დაურჩა დრო რეზოლიუციისათვის უფრო გამოშამინებული ფორმა მიეცა. მასში ბევრი რამ ახალი არის ჩართული, რომელიც მხოლოდ ფაქტიურ მხარეს ეხება. აღსანიშნავია, სხვათა შორის, ის, რომ რეზოლიუცია რამდენათმე არბილებს რუსეთის დელეგაციის დამატებას. სახელდობრ: იგი აღიარებს მუშათა ახალ თაობის აღზრდას და სხ., მაგრამ ის ადგილი, რომელიც მიუთითებს მახლობელ მიზანზე: რომ ის არ გაუხდეს ბურჟუაზიას სამხედრო იარაღათ თავის ძმების წინააღმდეგ, წაშლილია. აგრეთვე წაშლილია იმ საშუალებათა თანდათან „გამკაცრება“, რომელიც ხმარებულ უნდა იქნეს ომების წინააღმდეგ. დატოვებულია მხოლოდ სიტყვა „იცვლება“.

დასასრულ უნდა მოვიხსენიოთ შემდეგი: ინგლისის დელეგაცია არ მიემხრო სახალხო მილიციას, და ამიტომ ვანდერველდემ კომისიის მონდობილებით განაცხადა კონგრესზე, რომ სახალხო მილიცია არაა აუცილებელი მოთხოვნა ინგლისისათვის და ჩრდილო ამერიკისათვის. ინგლისელებმა საბუთათ ის მოიყვანეს, რომ მათთვის მილიცია უკან სვლაა. ისინი ირწმუნებოდენ, რომ ინგლისის დაქირავებული სალდათები მუშებს არ ესვრიან თოფსო. მკითხველმა უკვე იცის ბელფასტის შეტაკება. ეტყობა, ამ შემთხვევაში მათ „ჰაერში“ არ გაუსვრიათ!

პოლიტიკურ პარტიის და პროფესიონალურ კავშირებ შორის დამოკიდებულებანი თანამედროვე პროლეტარულ ბრძოლაში ერთ უშესანიშნავეს მომენტს წარმოადგენს. თვით კონგრესზე არ უთამაშნია ამ კითხვას ისეთი როლი, როგორსაც, შეიძლება, ქართველი მკითხველი მოელოდა. საქმე იმაშია, რომ რუსეთში ეს კითხვა ახალი და რამდენათმე მოუმწიფებელი. დასავლეთ ევროპაში კი მან დაკარგა ადრინდელი მწვავე ხასიათი. მრავალ მხრივ ერთგვარ ეკონომიურ-პოლიტიკურ ძალთა განწყობილების მეოხებით იქ უკვე შემზადდა თან და თან მუშათა მოძრაობის საერთო ფორმები, რომელნიც ასე თუ ისე ეგუებიან ადგილობრივ სახელმწიფოთა პირობებს. ამიტომ დასავლეთ ევროპის ორივე დარგის ორგანიზაციებს არ ეჭირვებათ იმდენი თავის მტვრევა ამა თუ იმ კითხვის გამორკვევის დროს.

კომისიაში შემუშავებულ რეზოლიუციის ნამდვილი ჩონჩხი გერმანიის სოციალდემოკრატიის და პროფესიონალების თეორია-პრაქტიკის ნაყოფია. იგი გადაჭრით უარყოფს პროფესიონალთა ინგლისელ ფორმას (ძველ ტრედ-უნიონიზმს), რომელიც თავის თავს ყველაფრათ აცხადებს და ხსნას მხოლოდ ეკონომიურ ბრძოლაში ხედავს. მას არ მოსწონს ეკონომიურ და პოლიტიკურ ბრძოლის მარტო ერთ ორგანიზაციაში გაწევა, როგორც ამას ვხედავთ დანიაში, ბელგიაში და სხვაგან. იგი მტერია საფრანგეთის და იტალიის სინდიკალიზმის, რომელიც გმობს პოლიტიკურ მოღვაწეობას და ხსნას მარტო გენერალურ გაფიცვისაგან მოელის, იგი აღიარებს თითეულ დარგის სრულ დამოუკიდებლობას, მაგრამ თხოულობს მჭიდრო თანხმობას მათ შორის. ღირსშესანიშნავია ერთი გარემოება. მანჰეიმის პარტიტაგზე, როგორც ვიცით, ბებელის რეზოლიუცია (გაფიცვის შესახებ) ეხებოდა აგრეთვე პროფესიონალებს და აღიარებდა მათ „იმდენათვე მნიშვნელოვანათ“ როგორც სოციალდემოკრატიას. კაუცკის წინადადებით პარტეიტაგმა ფრაზა „იმდენათ მნიშვნელოვანი“ მეორე სიტყვით „იმდენათ საჭიროთ“ შესცვალა. აუცი-შტუტგარტის რეზოლიუცია კი ორივე სიტყვას ხმარობს, როგორც ამას მკითხველი ქვემოთ დაინახავს.

პლეხანოვმა განაცხადა კომისიაში, რომ ეს რეზოლიუცია რუსეთში ჯერ უხერხულიაო. ის ამბობდა, რუსეთში 11 სხვა და სხვა „რევოლიუციონური პარტიები“ არისო და აბა ვისთან უნდა დაიჭირონ პროფესიონალებმა კავშირიო. იგი სასურველათ სცნობს, რომ რუსეთის პროფესიონალების ცენტრალიზაციამ პარტიის გაერთიანებას მოუმზადოს ნიადაგი. იგი სახიფათოთ და მავნეთ თვლის პროფესიონალებში ფრაქციულ შუღლის შეტანას,

კონგრესმა მიიღო რეზოლიუცია დიდის უმრავლესობით $212\,^1/_2$ ხმით $18\,^1/_2$ წინააღმდეგ. ფრანგების უმრავლესობამ არ მიემხრო მას და ცალკე განცხადება შეიტანა კონგრესის ოქმში. ვინაიდან პარტიის და პროფესიონალთა შორის განწყობილებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჩვენში, მე მომყავს აქვე მიღებული რეზოლიუცია სრულათ:

**დამოკიდებულებანი პოლიტიკურ პარტიათა და პროფეს. კავშირთა შორის.**

I

პროლეტარიატის სრულიად განთავი-

ამას გარდა, მიღებულ იქნა კიდევ რეზოლიუცია, რომელშიაც გამოთქმულია უარყოფითი დამოკიდებულება მთავრობის აგრარულ პოლიტიკისა და ერობათა და მიწათ-მომწყობ კომისიების მოქმედების მიმართ; აგრეთვე გამოტანილ იქნა რეზოლიუცია, რომელიც არკვევს გლეხების მიზანს დღევანდელ მომენტში. საერთო სიეზდის შესახებ, რომელიც მოწვეულ იქნება ხარკოვში, რეზოლიუცია აღნიშნავს ძალიან მნიშვნელოვან და მიზნის შესაფერ განზრახვას—გადაწყვეტილ იქნას ეკონომიური კითხვები ადგილობრივ ნაციონალურ და ეკონომიურ პირობებთან შეფარდებით, მაგრამ რეზოლიუცია პროტესტს აცხადებს იმის წინააღმდეგ, რომ გლეხთა გადასახლების საკითხის გადაწყვეტა (სიეზდი ამისათვის იკრიბება) ხდება ყველაზე უფრო დაინტერესებულ მხრის—გლეხ-კაცობის დაუსწრებლათ.

6 სექტემბერს მოხდა **სტუდენტთა ს.-დ. ფრაქციის კრება**. ფრაქციისა და პეტ. კ-ის წევრს შორის მომხდარ კონფლიქტის შესახებ კრებამ, 144 ხმის უმეტესობით 104-ის წინააღმდეგ, მიიღო მენშევიკების წინადადება—პარტიის ც. კ-ის გადაწყვეტილებამდე არ იქნას გამოტანილი არავითარი რეზოლიუცია. სტუდენტთა საერთო კრების მოწვევას წესრიგის შესახებ კრების უმრავლესობამ შესაძლებლათ სცნო—კითხვის პრინციპიალურათ გადაწყვეტა გადიდოს, ხოლო სტუდენტთა პირველი კრება-კი მოწვეულ იქნას ლეგალური გზით, 11 ივლისის წესების თანახმათ. მაგრამ გადაწყვეტილება ამ კითხვის შესახებ არ გამოუტანიათ რადგან ბოლშევიკების უწესო მოქმედების გამო, ყველა მენშევიკებმა და ბუნდელებმა კრება დასტოვეს; საქმე იმაშია, რომ ბოლშევიკებმა კრების ბოლოს, როდესაც დამსწრეთა თვალსაჩინო ნაწილი უკვე წასული იყო, შესცვალეს დღიური წეს-რიგი.

**კადეტების კანდიდატები** პეტერბურგის კალაქის კომიტეტში მომხდარ კენჭის-ყრის შედეგების სწორე გამოანგარიშებით კადეტთა კანდიდატები პეტერბურგში შემდეგი რიგით მისდევენ ერთიმეორეს: 1) მილიუკოვი, 2) როდიჩევი, 3) კუტლერი, 4) კოლიუბაკინი, 5) სტრუვე, 6) ი. გესენი, 7) ფედოროვი, 8) კაუფმანი, 9) დობროვოლსკი და 10) ფრიდმანი.

## მუშათა შორის

**ადელხანოვის მუშათა მდგომარეობა.** მკითხველებმა იციან, რომ ამ რამდენიმე ხნის წინათ ხშირათ იწერებოდა გაზეთებში ადელხანოვის მუშებს შესახებ. ეხლა კი კარგა ხანია არაფერი არ ისმის. არაფერი არ ისმის იმ დროს, როდესაც მთელი ყურადღება იქით უნდა იყოს მიპყრობილი. მე შეძლების დაგვარათ გავაცნობ მკითხველებს, თუ რაა ამის მიზეზი. არ შევეხები იმ ცნობების განმეორებას, რაც უკვე იწერებოდა წინათ გაზეთებში. მე მხოლოდ მოვაგონებ იმას, რომ შარშან სექტემბერს სხვადასხვა აუტანელ პირობების და ხაზეინებისაგან მოთხოვნების წამოყენების (110 მუშის დათხოვნა) გამო გაფიცა „სახელმწიფო განყოფილების" 200 მუშა. შვიდი თვის გაფიცვის შემდეგ, აპრილში ადელხანოვმა დაითხოვა რამდენიმე მუშა, მაგრამ მუშები მეორე დღეს მაინც შემოვიდნენ სამუშაოთ, რის შემდეგ ხაზეინმა თვით მუშებს დააკისრა მუშების დათხოვნა, თორემ ქარხანას დავკეტო. მუშებმა რასაკვირველია, არ იდვეს თავს ეს სამარცხვინო როლი და ამნაირათ ბ-ნმა ადელხანოვმა გამოაცხადა ლოკაუტი და დახურა ქარხნის ყველა ნაწილები. ათას ხუთასი მუშა გარეთ იქნა გამოყრილი. პირველ ხნებში მუშებში ერთსულოვნება და სოლიდარობა სუფევდა. მუშებმა, მიუხედავათ მათი პოლიტიკურ რწმენისა, მოილაპარაკეს და აარჩიეს უპარტიო ბიურო, რომელსაც უნდა გაეწია ყოველგვარი ხელმძღვანელობა. ბიურო მოვალეობის აღსრულებას შეუდგა: აგროვებდა გაჭირვებულ მუშებისთვის დახმარებას; მართავდა ხაზეინთან მოლაპარაკებას და სხვა. მოგროვილ ფულს ბიურო ანაწილებდა უფრო გაჭირვებულ მუშათა შორის. ამან გამოიწვია უთანხმოება იმ მუშებში, რომლებსაც არ ხვდათ დახმარება. მეორეჯერ, ბიურომ ფული ყველას დაურიგა, ვინც კი მოსთხოვა, რაიც არც ერთს ბარაქიანათ არ შეხვედრია. ამით უთანხმოება არ მოსპობილა, პირიქით, გაძლიერდა, რადგანაც უფრო ღარიბი მუშები მთლათ ულუკმა პუროთ დარჩნენ. ზოგიერთნი, რომლებსაც არ შეხვდა დახმარება, აგიტაციასაც კი ეწეოდნენ მუშებს შორის: ბიურომ ფული შეჭამაო და რაც კი მოაგროვეს თავიანთ ნათესავებს დაურიგესო, რაიცა, რასაკვირველია, ჯერ არ დაუმტკიცებიათ. ამნაირათ, ბიურომ დაკარგა მუშათა ნდობა, ავტორიტეტი და დაიშალა. აი, ამ მიზეზებისა გამო არაფერი არ ისმოდა ადელხანოვის მუშებზე.

დასასრულ, არ შემიძლია არ აღვნიშნო, რომ ამ ბოლო დროს ადელხანოვის მუშებზე ნაკლები ყურადღებაა მიქცეული. თფილისში თვალსაჩინო ლოკაუტი ამის მეტი არ ყოფილა და მუშებმა ყოველი ღონე უნდა იღონონ ამის დასამარცხებლათ. ამ ჟამათ ეს მუშები უკიდურეს მდგომარეობაში არიან. თუ მუშაობას განაახლებენ, გამეორდება ის რაც წინეთ, ე. ი. 110 მუშის დათხოვნა მუშებისავე ხელით. როგორ უნდა მოიქცენ მუშები მოსალოდნელ მუშაობის განახლების შემდეგ, ეს ფრიად საყურადღებო კითხვაა და ამას უნდა მიექცეს ყურადღება.

ბაგნელი პეტრე.

—

P. S. ამ დღეებში აირჩიეს ახალი ბიურო, რომლის მოვალეობაა უხელმძღვანელოს შემდეგში და გაანაწილოს ის ფული, რომელიც გამოგზავნეს პირველ რაიონის რკინის გზის სახელოსნოს მუშებმა. იმედია, ბიურო ამას გაანაწილებს და შემდეგშიაც გაუწევს ხელმძღვანელობას.

ქ. პ.

## პროვინცია

—

**სოფ. ხაშმი.** გამოცვალა დროებამ და ხაშმელებიც ძველებურ გზას დაადგენ, თუმცა ამგვარი მოქმედება ძველთაგან მათგან არავის სმენია. მთელი სოფელი ორ ბანაკათ გაიყო. ერთი მხრით დგანან ადგილობრივი მცხოვრნი ას კომლზე მეტი, ხოლო მეორე მხრით 45 კომლი ხიზანი, ანუ ჩამოსახლებული გლეხები. რევოლიუციის გაჩენებამდე უველანი ერთათ საერთო ბრძოლას ეწეოდნენ, საერთო კეთილ-დღეობის მოსაპოვებლათ. დღეს კი სურათი შეიცვალა. დამშეულ სოფელს მოუვიდა რამდენიმე ტომარა ფქვილი. ხაშმელებმა მონახეს ძველი დავთრები (კამეჭარია) და ვინც იქ არ ეწერა, დახმარებაზე ყველას უარი უთხრეს. ამგვარათ ხიზნები მშრალზე დარჩნენ.

ამ ბოლო ხანებში ხიზნებმა განიზრახეს ხაშმის მახლობლათ სახნავ-სათესი ადგილი „წმინდანის" შეძენა ვიდაც მემამულისაგან საგლეხო ბანკის საშუალებით. ამ ამბავმა ფეხზე დააყენა მთელი სოფელი, სასტიკი შეტაკება გამოიწვია ხიზანთა და „ნამდვილ" ხაშმელთა შორის. ზოგიერთს თავზე ხელ აღებული აგიტატორების მეოხებით ხაშმელები დაერივნენ ხიზნებს და აიკლეს მათი სარჩო-საბადებელი, მინდვრიდან მათი საქონელი მორეკეს და დაამწყვდიეს, სახლებიდან ბარგები გამოუყარეს, ბევრ მათგანს უმოწყალოთ სცემეს. უფრო მეტიც ამის შემდეგ განცხადებები გამოაკრეს მამასახლისის ნებართვით, რომ ხიზნებთან დამოკიდებულების დაჭერა ეკრძალება ყველა „ნამდვილ" ხაშმელს. მღვდელმა მათ არ უნდა აუსრულოს სამღვთო მოქმედება, გზირმა ვერ უნდა მაუდოს საზიარო საქონელი, მეწისქვილემ არ უნდა მისცეს პური და სხვა და სხვა. ამ უთავბოლო ჩავარდენ ხიზნები მხოლოდ მამულის შეძენის განზრახვისათვის. ჯერ არ ვიცით რამდენ ხანს გასტანს ეს ნამდვილი ველური „ბოიკოტი", რომელსაც ორიოდე გაიძვერა „აგიტატორი" ხელმძღვანელობს. ხიზნების მდგომარეობა უიმედოა. ბევრი მათგანი უსახლ-კარო დარჩა ამ ზამთრის პირათ.

მგზავრი ვ. ანდრიაშვილი.

## არჩევნები ქუთაისის გუბერნიაში.

—

**ქუთაისი.** გლეხთა რწმუნებულების არჩევნები თითქმის მთელ გუბერნიაში გათავდა. გლეხთა კურიაში გამარჯვება სოციალდემოკრატიას დარჩა. რწმუნებულებს დიდი უმეტესობა ამ პარტიის კანდიდატებია. წვრილ მემამულეთა კურიაში არჩევნები მხოლოდ ახლა იწყება. 10 სექტემბერს ქუთაისში იყო დანიშნული წვრილ მემამულეთა არჩევნები, მთელი ქუთაისის მაზრის, გარდა ბაღდადის საბოქაულოსა. ამომრჩევლებიც ჩამოვიდნენ, მაგრამ ბატონი დავით ოტ. ნიჟარაძის მეოხებით არჩევნები არ მოხდა, რადგან კრების თავმჯდომარე ბატონი ნიჟარაძე ამ დღეს ქუთაისში არ დარჩა და თავის მოადგილეს არ ჩააბარა საქმე. ბატონი ნიჟარაძის დაუდევრობის გამო, ამ სიშორიდან ჩამოსული ხალხის, შრომა, ჯაფა, ხარჯი, გაცდენა წყალში ცვივა. ეს პირველი არაა ბატონ ნიჟარაძის მხრით.

—

**წვრილ მემამულეთა საყურადღებოთ.** 15 სექტემბრს, ქუთაისში დეპუტატთა საკრებულოს დარბაზში დანიშნულია წვრილ მემამულეთა არჩევნები ოთხი საბოქაულოსი: ქუთაისი, ტყიბული, სამტრედია, ხონი. არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს ყველა თავად-აზნაურს და სასულიერო წოდების პირს, რომელსაც აქვს მიწა, იხდის საერობო გადასახადს 30 მანეთზე ნაკლებს თუ გინდ ორ შაურს, და თავის საკუთარ სახელზე მოსდის „ოკლადნოი ლისტი" (ბლანკი). ვინც 12 საათამდე არ მოვა, შემდეგ აღარ შეუშვებენ.

—

## საარჩევნო კამპანია.

—

მოსკოვში მემარცხენეთა ბლოკის წარმომადგენლებმა, რომლებიც მონაწილეობას იღებდენ შარშანდელ არჩევნებში, გადაწყვიტეს განაახლონ ბლოკის მოქმედება და შეუდგენ საარჩევნო აგიტაციას. გამოირკვა, რომ მემარცხენეთა ბლოკს შეუძლია იმედი იქონიოს გაიყვანოს ერთი დეპუტატი ქალაქის მეორე კურიიდან. სხვათა შორის, აღნიშნულ იქნა, რომ მოსკოვის ნოქართა თვალსაჩინო ნაწილს საჭიროთ უცვნია გაატაროს დუმაში სავაჭრო მოსამსახურეთა წარმომადგენელი და შარშანდელათ კადეტებს აღარ მისცენ ხმა. ბლოკს იმედი აქვს მიიმხროს ასეთ ნოქრებს. მეორე მხრით, ბლოკს შეუძლია მოიპოვოს თანაგრძნობა რკინის გზის მოსამსახურეთა, ბინის ცენზის მქონე მუშათა და საზოგადოთ კადეტებზე მარცხნივ მდგომ დემოკრატიულ ელემენტთა მხრივ. შარშან ბლოკს მოუგროვებია 10,000 ხმა და ამ ჟამათ შეიძლება ეს რიცხვი გაიზარდოს აგიტაციის გაძლიერებით. რახან ერთი მხრით ოქტომბრისტები და მეორე მხრით ბლოკი დამოუკიდებლათ გამოვლენ, მაშინ კადეტების კანდიდატები ვეღარ შეაგროვებენ ხმების აბსოლიუტურ უმრავლესობას, და ამის გამო კადეტთა პარტია იძულებული იქნება ხელმეორე კენჭის ყრის დროს მეუთანხმდეს და დაუთმოს ბლოკს ერთი სადეპუტატო ადგილი. აგიტაციას ბლოკი გასწევს ფურცლებით და საზოგადოთ ლიტერატურის გავრცელებით. გადაწყვეტილია შეუდგენ სარაიონო საარჩევნო კომიტეტების შედგენას, რომლებიც თავის მხრივ აირჩევენ დელეგატებს ცენტრალურ საარჩევნო კომისიის შესადგენათ. ბლოკის კანდიდატათ წამოყენებულ იქნება ცნობილი პირი კადეტების მარცხნივ მდგომ ელემენტებიდან.

— სამხრეთ-დასავლეთ მხრის რუს ამომრჩეველთა სიეზდი წინააღმდეგი გახდა გლეხებთან შეთანხმების და მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც ნათქვამია: გლეხების მეუგნებლობის და უკულტურობის გამო, მათთვის საკმარისია ყველა დუმაში თითო დეპუტატი გუბერნიიდან.

— ხარკოვის გუბერნიიდან იწერებიან, რომ იქ მეტის-მეტათ გაძნელებულია საარჩევნო აგიტაცია (რასაკვირველია, მხოლოდ ოპოზიციისათვის!) და ამის გამო საარჩევნო გამოცოცხლება ხალხს ნაკლებათ ეტყობა. არჩევნების სასურველი შედეგები ძალიან ძნელი

---

სუფლებისათვის სულიერ, პოლიტიკურ და ეკონომიურ მონობის უღლისაგან მუშათა კლასის პოლიტიკური და ეკონომიური ბრძოლა თანასწორათ აუცილებელია, თუ სოციალისტურ პარტიულ ორგანიზაციის დანიშნულება უმთავრესათ პროლეტარიატის პოლიტიკურ ბრძოლის ასპარეზზე სძევს, პროფესიონალურ ორგანიზაციის დანიშნულება უმთავრესათ მუშათა ეკონომიურ ბრძოლის ასპარეზზეა დამყარებული. პარტიასა და პროფესიონალებს ამგვარათ პროლეტარიატის განმთავისუფლებელ ბრძოლაში თანასწორათ მნიშვნელოვანი დანიშნულებანი აქვთ შესასრულებელი.

თითოეულ ამ ორგანიზაციათაგანს აქვს საკუთარ ბუნების მიხედვით განსაზღვრული და განსაკუთრებული ასპარეზი, რომელზედაც იგი თავის აქციონებს (ნაბიჯებს) სრულიად დამოუკიდებლათ განსაზღვრავს. მაგრამ ამასთანავე არსებობს პროლეტარულ კლასობრივ ბრძოლის ასპარეზი, რომელიც მუდამ ზრდაშია და რომელზედაც გამარჯვების მიღწევა მხოლოდ პარტიასა და პროფესიონალებ შორის ერთსულოვან საერთო მოქმედებით შეიძლება.

აქედან, პროლეტარიატის ბრძოლა მით უფრო მდიდარ შედეგიანი და დაწინაურებული შეიქნება, რაც უფრო მჭიდრო დამოკიდებულებანი სუფევენ პარტიულ და პროფესიონალურ ორგანიზაციებს შორის; მასთან პროფესიონალურ აქციონის ერთსულოვნობა არასოდეს არ უნდა იქნეს დავიწყებული.

კონგრესი აცხადებს, რომ მუშები დაინტერესებული არიან ყველა ქვეყნის პარტიებსა და პროფესიონალებ შორის მჭიდრო დამოკიდებულების აღდგენაში და მათი განგრძობაში.

პარტიამ და პროფესიონალებმა თავიანთ აქციონებში უნდა ხელი შეუწყონ და დაეხმარონ ერთი-მეორეს მორალურათ და თავიანთ ბრძოლაში მხოლოდ ისეთი საშუალებანი უნდა იხმარონ, რომელნიც პროლეტარიატის განმათავისუფლებელ ბრძოლას ხელს შეუწყობენ. ისინი უნდა შეთანხმდენ ურთიერთ შორის, თუ სხვა და სხვა მეთოდის ხმარებაში მათ შორის აზრთა სხვადასხვაობამ იჩინა თავი.

პროფესიონალები მხოლოდ მაშინ შესძლებენ თავიანთ მოვალეობის ასრულებას მუშათა განმთავისუფლებელ ბრძოლაში, თუ ისინი თავიანთ აქციონებში გამსჭვალულნი არიან **სოციალისტური სულით**. პარტიას აძევს მოვალეობა ხელი შეუწყოს პროფესიონალების მისწრაფებებს მუშათა სოციალურ მდგომარეობის ამაღლებისადმი და გაუმჯობესებისადმი, და მის პარლამენტარულ აქციონებში პროფესიონალების მისწრაფებებს და მოთხოვნებს თანაგრძნობა მოუპოვოს.

კონგრესი აცხადებს, რომ კაპიტალისტურ წარმოების წესის წინსვლა, საწარმოო ძალთა კონცენტრაციის ზრდა. მწარმოებელთა (კაპიტალისტთა) გაერთიანების ზრდა, თითოეულ წარმოებითი დარგის ბურჟუაზიულ საზოგადოების ერთ მთლიანისაგან დამოკიდებულების აღმაფრენა,—უძლურებამდე მიიყვანენ პროფესიონალთა მოღვაწეობას, თუ ისინი დაფუძნებული არიან მარტოოდენ თითოეულ დარგის მუშათა ინტერესების განცალკევებულათ დაცვაზე, ცეხურ ეგოიზმზე და კაპიტალ და შრომის შორის ინტერესების ჰარმონიის თეორიაზე.

კონგრესი იმ აზრისაა, რომ პროფესიონალები მით უფრო გამარჯვებულათ შესძლებენ ბრძოლის წაყვანას მონობის და ყვლეფის წინააღმდეგ, რაც უფრო გაერთეულია მათი ორგანიზაცია, რაც უკეთაა მოწყობილი მათი დამხმარებელი დაწესებულებანი, რაც უფრო ძლიერია მათი, პროფესიონალურ ბრძოლაში აუცილებელი, ფონდები, რაც უფრო ღრმაა მათი წევრების შეხედულება ეკონომიურ ცხოვრების დამოკიდებულებათა და პირობათა შესახებ და რაც უფრო მაღალია მათი აღფრთოვანება და თავგანწირულება, რომელნიც უმწვერვალესათ სოციალისტურ იდეალისაგან გამომდინარეობენ.

II.

კონგრესი მიმართავს ყველა პროფესიონალურ კავშირებს, რომელნიც შეეფერებიან ბრიუსელის კონფერენციაზე 1899 წ. წამოყენებულ და პარიჟის კონგრესზე 1900 წ. დამტკიცებულ პირობებს, მოწოდებით, რომ ისინი წარმოდგენილ იქნენ საერთაშორისო კონგრესზე და საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროსთან ბრიუსელში კავშირი იქონიონ. იგი ანდობს ბიუროს პროფესიონალთა საერთაშორისო სეკრეტარიატთან ბერლინში მიმოსვლა იქონიოს მუშათა ორგანიზაციის და მოძრაობის შესახებ ურთიერთ შორის ცნობების გასაზიარებლათ.

III.

კონგრესი ანდობს საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროს შეაგროვოს ყველა საბუთები, რომელნიც შეძლებენ ყველა ქვეყნის პროფესიონალთა და სოციალისტურ პარტიებ შორის დამოკიდებულებათა შესწავლის გაადვილებას, და ამის შესახებ მახლობელ კონგრესს მოხსენება წარმოუდგინოს".

რეზოლიუციაზე ხელს აწერენ: ბეერი, ზელიგერი, სმიტკა, ჰანუში (ავსტრია); გ. ლეგიენი, რ. შმიდტი, კ. კაუცკი, ვ. პფანკუხი (გერმანია); ლ. დე-ბრუკერი, ე. ანზელე (ბელგია); უ. გ. ლინდბლანდი (შვეცია), გ. მ. ოლფენი (დანია); ტესცარსცი (უნგრეთი); ნემესი (ბოჰემია).

თვით კონგრესის სხდომების უშესანიშნავეს მომენტს წარმოადგენდა დიდი და ფრიად საინტერესო კამათი კოლონიალურ კითხვის შესახებ, რომელმაც გასტანა დღე-ნახევარი. ორ, ერთი მეორის მოწინააღმდეგე, მიდრეკილებას შეტაკება ჯერ კიდევ კომისიაში დაიწყო. განა ორივე მხარე ერთგვარ სასტიკ კრიტიკის ქარ-ცეცხლში ატარებენ თანამედროვე კაპიტალისტურ კოლონიალურ პოლიტიკას და კიდეც ამიტომ რეზოლიუციის ამ ნაწილს ისინი გამოთქვამენ **ერთ და იმავე სიტყვებით**. ისინი უწოდებენ კოლონიების თანამედროვე მართვა-გამგეობას „ტაციობას", რომელიც გამოიხატება კულტურის დაბალ საფეხურზე მდგომ ერაია და მოდგმათა შეუბრალებელ ყვლეფაში. ისინი თვლიან სოციალისტურ პარტიების ერთ უმთავრეს მოვალეობათ შეურიგებელ ბრძოლას გაბატონებულ კლასთა ბარბაროსობასთან კოლონიებში; ისინი ყოველ საშუალებით უნდა ცდილობდენ კოლონიებში მცხოვრებ ხალხთა მდგომარეობის შემსუბუქებას და გაუმჯობესებას; მათ ხელი უნდა შეუწყონ ხსენებულ ხალხთა „აღზრდას დამოუკიდებლობისადმი".

ამგვარათ, როგორც ვხედავთ, კონგრესი **ერთსულოვანი** იყო, როცა კითხვა სოციალისტურ პარტიების პრაქტიკულ ტაქტიკას ეხებოდა. აზრების სხვადასხვაობა არსებობდა პრინციპიალურ ნიადაგზე. კომისიის უმრავლესობა იმ აზრის იყო, რომ სოციალისტური პარტიები არ უნდა უარყოფდენ კოლონიალურ პოლიტიკას პრინციპიალურათ. მან მიიღო რეზოლიუციის თავში მოსაქცევათ შემდეგი მუხლი: „კონგრესი აცხადებს, რომ კოლონიების სარგებლობა ან საჭიროება საზოგადოთ, და მუშა კლასისათვის კერძოთ, ძლიერ გადაჭარბებულია. მაგრამ **ის არ განაგდებს პრინციპიალურათ და სამუდამოთ** კოლონიალურ პოლიტიკას, რომელსაც სოციალისტურ რეჟიმის ქვეშ ცივილიზატორულათ შეუძლია იმოქმედოს".

კომისიის უმცირესობამ შემოიტანა კონგრესზე თავის დამატება, რომელიც ზევით მოყვანილ მუხლის მაგიერ უნდა მოქცეოდა რეზოლიუციას თავში. არსებითი დედა-აზრი ამ დამატებისა გამოიხატება შემდეგ სიტყვებში: „კონგრესი იმ აზრისაა, რომ კაპიტალისტურმა კოლონიალურ პოლიტიკამ თავის შინაგან ბუნების თანახმათ კოლონიების ადგილობრივი მცხოვრებნი მონობამდე, ძალდატანებულ მუშაობამდე ან აღმოფხვრამდე უნდა მიიყვანოს". იგი ამბობს მასთან, რომ „მხოლოდ სოციალისტური საზოგადოება მისცემს ყველა ერებს საშუალებას სრულ კულტურულ განვითარებას მიაღწიონ". რაც შეეხება კოლონიალურ პოლიტიკას სოციალისტურ ხანაში, დამატება არაფერს ამბობს ამ საგანზე.

კამათში მონაწილეობა მიიღეს საერთო სხდომაზე გერმანიიდან ლედებურმა, კაუცკიმ, ბერნშტეინმა და დავიდმა, ინგლისიდან—კველჩმა და მაკდონალდმა, საფრანგეთიდან—რუანემ, ამერიკიდან—სიმონმა, ჰოლანდიიდან—ფან-კოლმა და პოლონეთიდან—ვარსკიმ. მომხსენებლათ იყო ფონ-კოლი. მან განაცხადა, რომ კონგრესზე არსებობს ორი მიდრეკილება: „უარყოფითი და დადებითი,—პირველი თეორიულია, მეორე კი პოლიტიკური და აქტიური". მისი აზრით, კონგრესმა მეორე მიდრეკილებას უნდა მიემხროს, რომელიც გამოხატულია უმრავლესობის რეზოლიუციაში. მას გამოექომაგენ ბერნშტეინი, დავიდი, მაკდონალდი, რუანე და სიმონი. დანარჩენი ორატორები იცავდენ უმცირესობის დამატებას.

კამათში ნათლათ მოჩანდა ბრძოლა რევიზიონისტებ და მარქსისტებ შორის. კომისიაში გამარჯვებული პირველნი გამოვიდენ და ამიტომ რეზოლიუციის პრინციპიალური ნაწილი მათ ეკუთვნოდათ. მათ შორის ბერნშტეინის და დავიდის მსჯელობა ღირსშესანიშნავია და ავტორთა დამახასიათებელი. ისინი ექომაგებოდენ ერთი ერისგან მეორე ერის „მეურვეობას", რომელიც დასაბამიდან

მოსალოდნელია, და ეს იმიტომ უფრო, რომ 134 საგუბერნიო ვიბორშჩიკიდან 71 ხმა ეკუთვნის მემამულეთა კურიას, ყველა დანარჩენ კურიებს-კი ერთათ მხოლოდ 65. წვრილ მემამულეთა და სამღვდელოების განწყობილებაც ნაკლებათ ლაპარაკობს ოპოზიციის სასარგებლოთ. ყველა ამის მიუხედავათ პროგრესიულ პარტიების ადგილობრივი კომიტეტები მთლად როდი კარგავენ იმედს არჩევნების სასურველ შედეგზე. მუშაობენ უმთავრესათ ს.-დ.-ის და კადეტების კომიტეტები. ს.-დ.-ები მთელ თავის ყურადღებას მუშათა არჩევნებს აქცევენ და ღრმათ დარწმუნებული არიან, რომ ყველა ექვსი ვიბორშჩიკი მუშათა კურიაში სოც.-დემოკრატები იქნებიან. სოც.-დ.-ები ცალკე სიას წამოაყენებენ ხარკოვის ქალაქის მეორე კურიაშიაც. რადგან ს.-დ.-ებს დახმარებას დაპირდენ ქალაქის ყველა პროლეტარული ორგანიზაციები, რომელთაგან ზოგიერთები ძალიან მრავალ-რიცხოვან და შეკავშირებული არიან, ამიტომ ს.-დ.-ების შანსები საკმაოთ ძლიერია. კორესპონდენტის ანგარიშით, ხარკოვის გუბერნიის 11 დეპუტატთაგან ერთი იქნება ს.-დემოკრატი, 1 ან 2 კადეტი და ერთიც ტრუდოვიკი, დანარჩენები ოქტომბრისტები და სხვადასხვა ჯურის მონარქისტები იქნებიან.

— პეტერბურგის გრადონაჩალნიკმა ინსტრუქციები დაურიგა ფაბრიკა-ზავოდების პოლიციას მუშათა მომავალ არჩევნების დროს სამოქმედოთ. ამასთან ქარხნებ-ზავოდებში გაძლიერებულია თვალყურის დევნება, რომ არსად კრებები და მიტინგები არ გაიმართოს.

— ვიატკის მახლობელ ვოლოსტებში 30 აგვისტოს არავერი იცოდენ გლეხებმა იმის შესახებ, რომ 2 სექტემბერს არჩევნები იყო დანიშნული. თუ საგუბერნიო ქალაქზე მიკრულ ვოლოსტებს ვერ გაუგიათ დროზე არჩევნების ვადა, როდის გაიგებენ სხვა ვოლოსტები, რომლებიც ას ვერსობითაა ქალაქიდან დაშორებული?

— კიევში საარჩევნო კამპანია დაიწყო 16 კაცის—პროფ. კავშირების წარმომადგენლების დაჭერით. რადგან საარჩევნო კამპანიას, ს.-დ. ორგანიზაციები უმთავრესათ პროფ. კავშირების შემწეობით აწარმოებდა, ცხადია კავშირების საუკეთესო და ენერგიულ წარმომადგენელთა დაჭერა არას საკეთილო კვალს დააჩნევს მთელ საარჩევნო კამპანიას. საქმე იმაშია, რომ დაჭერა ისეთ დროს მოხდა, როცა მუშათა ორგანიზაციების მხრივ საჭირო იყო დიდი მოქმედება და ენერგია, რომ 25 აგვისტოსათვის მუშებს განცხადება წარედგინათ საარჩევნო სიებში შეტანის შესახებ. ეს-კი რთული და სადავიდარაბო საქმეა. გუბერნატორმა ნება არ მისცა მუშებს რწმუნებულების შემწეობით ბევრ-ბევრი განცხადების ერთათ წარდგენაზე. თითოეულ უმუშას ჭირდება პოლიციასთან საქმის დაჭერა. ამის გამო, მოსალოდნელ 2000 განცხადების მაგივრათ, ძლივს ორასიოდე განცხადება იქნება შეტანილი. ამავე დროს რუსის ხალხის კავშირის წევრებს სრული ნება აქვს უოვლად უდავიდარაბოთ დასტობით შეიტანონ განცხადებები; პოლიცია დაუყოვნებლივ ამოწმებს ამ განცხადებებს და მერე კავშირის წარმომადგენელს პარტიობით შეაქვს ქალაქის გამგეობაში.

— ნიჟნი-ნოვგოროდში მაშისტოვის სტამბაში მუშათა რწმუნებულების არჩევნები არ შესდგა, რადგან მოდიოდენ თითო-ოროლა მუშები და ისევ უკან ბრუნდებოდენ. კურნაცოვის სახელოსნოს მუშათა დიდ ნახევრობას არჩევნებზე არაფერი გაუგია, ხოლო ვისაც გაეგო, ის ძალიან უნდოთ ეკიდებოდა არჩევნებს, რომელიც ამის გამო სულ აღარ შესდგა. იგივე მოხდა ტრეპელის ზავოდში. გორდეენკოს მატყლის ქარხანაში არჩევნების დღეს არავინ გამოცხადებულა; მეორე დღეს მუშებს გაახსენეს არჩევნები, მაგრამ მათ არ მოისურვეს მონაწილეობის მიღება და განაცხადეს: „ფუჭი და უსარგებლო საქმეაო". ყველა აქ ჩამოთვლილი ქარხნები ბოიკოტისტების გავლენის ქვეშ ყოფილა.

# რუსეთის ამბები

**რუსის ჟანდარმი ფინლიანდიაში.** ჟანდარმთა ვახმისტრათ ნამყოფმა ლეზჟგანგმა ითხოვა ფინლიანდიის მოქალაქეობის უფლება. აბოს ქალაქის გამგეობამ, სადაც ლეზჟგანგმა თხოვნა შეიტანა, უარი უთხრა მთხოვნელს და ეს უარი იმით დაასაბუთა, რომ მისი ჟანდარმული მოღვაწეობა ეწინააღმდეგება ფინლიანდიის საზოგადოებრივ ორგანიზაციას.

**უმაღლეს სასწავლებელში.** 6 სექტემბერს უმაღლეს საქალებო კურსების მსმენელთა კრებაზე გამოტანილ იქნა 11 ივლისის წესების შესახებ რეზოლიუცია, რომლითაც მსმენელები პროტესტს აცხადებენ ამ წესების წინააღმდეგ, ხოლო კონკრეტულ ზომების შემუშავება ამ წესებთან საბრძოლველათ გადადებულია ყველა უმაღლეს სასწავლებლებთან შეთანხმებამდე.

— 6 სექტემბერს პეტერბ. უნივერსიტეტის სტაროსტების კრებაზე ცხარე კამათი იყო იმის შესახებ, თუ რა წესით უნდა იქნას მოწვეული ყრილობა. კადეტები, ს.-დ. მენშევიკები და უპარტიონი მომხრე იყვნენ ლეგალური გზით მოწვევის, 11 ივლისის წესების თანახმათ, ბოლშევიკები და ს.-რ.-ები საჭიროთ ცნობდენ გამოცხადებითი წესით მოწვევას. უმცირესობაში დარჩენილი ბოლშევიკები და ს.-რები წავიდენ კრებიდან, ამასთან ს.-რებმა განაცხადეს—გამოვდივართ სტაროსტების საბჭოდანო. კრებაზე დარჩენილთ მიიღეს შემდეგი რეზოლიუცია: „გადაუწყვეტელათ დასტოვა-რა სტუდენტთა პრინციპიალური დამოკიდებულება 11 ივლისის წესების მიმართ, სტაროსტების საბჭომ დაადგინა პირველი ყრილობა მოწვეულ იქნას ამ წესების თანახმათ". სხდომიდან წასული ს.-რები შეეცადენ კრება გაემართათ სააქტო დარბაზში სადაც თავი მოიყარა 1,000 კაცმა, მაგრამ სტაროსტებმა თხოვეს—დაიშალენითო, და 150 კაცის გარდა ყველანი წავიდენ, ამის გამო კრება აღარ შესდგა.

**სოფლათ.**

ვორონეჟის გუბერნიაში ამ ბოლო დროს მამულებში ცეცხლის წაკიდება ძალიან გახშირებულა. ბევრი პური იწვის.

— სარატოვის მაზრაში ცეცხლი წაუკიდეს და დასწვეს რამდენიმე მამული, სხვათა შორის დაუწვავთ „ნოვ. ვრ."-ის თანამშრომლის და მინისტრ-პრემიერის ძმის სტოლიპინის ჭირნახული.

— სამარის გუბერნიის სოფ. პისკალის ყრილობამ ობშჩინიდან გამოყოფაზე უარი უთხრა მთხოვნელებს.

— მოგილიოვის გუბერნიაში საგლეხო ბანკის მიერ დანიშნულია სესხის შეუტანლობის გამო, საჯარო ვაჭრობა 469,400 დეს. მიწის გასაყიდათ, რომელსაც ფლობენ უმთავრესათ გლეხთა ამხანაგობანი, სულ 179 კაცი. სესხი, რომელიც გამოუტანიათ გლეხებს ბანკიდან, შეიცავდა 125 ათას მანეთს, მაგრამ ეხლა ის 167 ათას მანეთამდე გაზრდილა. თუმცა გლეხები სესხს ყოველწლობით იხდიდენ წვრილ-წვრილათ, ამის მიუხედავათ მას შემცირების მაგივრათ რამდენიმე წლის განმავლობაში 15 ათასი მანეთით უმატნია

— კრემენჩუგის სამაზრო საერობო გამგეობას 5 სახალხო სკოლა დაუკეტია მხოლოდ იმიტომ, რომ გლეხებს უარი უთქვამთ სკოლების შეკეთებაზე.

— ელისავეტგრადის მაზრაში, ერთი კვირის განმავლობაში ათამდე მამულს წაუკიდეს ცეცხლი, ზარალი 10,000 მან. უდრის. ერთ სოფელში დასწვეს სტრაჟნიკების თავლა.

**„კრამოლნიკ" გლეხის დატუსაღება.** სამარის გუბერნიაში დატუსაღებულ იქნა სოფ. ბობროვკის გლეხი ხაიაროვი იმისათვის, რომ ყრილობაზე პროტესტი განაცხადა საvoლოსტო და სასოფლო გამგეობათათვის გლეხების მიერ ფულის სესხების წინააღმდეგ და კიდევ იმისათვის, რომ, როგორც საერობო უფროსი მოწმობს, იმავე ყრილობაზე ხსენებული გლეხი არც თვითონ იღებდა და სხვებსაც უშლიდა აეღოთ პარტიული გამოცემები, თან ეუბნებოდა: „რა ჯანაბათ გინდათ, ვიცით, რა ფურცლებიცაა; ყურადღებას რათ აქცევთ" და სხ.—ხაიაროვი მეორე დუმის არჩევნების დროს გლეხთა რწმუნებულათ იყო.

**როგორ წყვეტენ აგრარულ კითხვას?** პოლტავის გუბ. კრემენჩუგის მიწათ-მომწყობ კომისიას ადგილობრივმა გლეხებმა თხოვეს: გვიყიდეთ 128 დესეტინა მიწა—მიწათმფლობელ შარის მამულიდან, რომელიც მიწას მხოლოდ მდიდარ გლეხებზე ყიდის, და ამათგან-კი ჩვენ აღარც ყიდვა შეგვიძლია, აღარც იჯარით აღებაო. თუ ეს მიწები ჩვენ ხელიდან გამოგვეცალა, მეტათ გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავარდებით, რადგან ეს მიწები გარს არტყია ჩვენს სანადელო მიწებსო. კომისიამ გადაწყვიტა—თუ ვინიცობაა შარიმ ეს მიწები არ მოგვყიდა, მაშინ ავდგეთ და გლეხები სხვაგან გადავასახლოთო

**ფინლიანდია.**

ფინლიანდიის სეიმის იურიდიულმა კომისიამ განიხილა უმაღლესი წინადადება უდიდებულესობათა წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულის შესახებ. კომისიის სოც.-დემოკრატი წევრები მოითხოვდენ წინადადების უარყოფას, მაგრამ მათი მოთხოვნა არ გავიდა. წინადადება მიღებულ იქნა შესწორებით.

# უცხოეთი

**საფრანგეთი.** საფრანგეთის რადიკალურ სამინისტრომ კანონ-პროექტი შეიტანა დეპუტატთა პალატაში; პროექტს სურს სიკვდილით დასჯა მოსპოს საფრანგეთში. ამას წინეთ ამ კითხვამ ისევ აალაპარაკა მთელი ევროპა. ვიღაც სოლეიანმა ცამეტი წლის ქალს პატივი ახადა და მერე მხეცურათ მოკლა. საფრანგეთის საზოგადოებრივი აზრი ძლიერ ააშფოთა მკვლელობამ. პრესა ორ ბანაკათ გაიყო: ნაციონალისტები თხოულობდენ დამნაშავის სიკვდილით დასჯას, რადიკალები და სოციალისტები კი საწინააღმდეგო აგიტაციას ეწეოდენ. სასამართლომ სოლეიანს სიკვდილით დასჯა მიუსაჯა. პროგრესიული საზოგადოება გულისფანცქალით ელოდებოდა ამ საქმის ბოლოს. რეაქციონერების სიხარულს საზღვარი არ ქონდა. საფრანგეთში რესპუბლიკის პრეზიდენტს ნება აქვს აპატიოს დამნაშავეს პატიების. დიდი იმედი ქონდათ, რომ დამნაშავეს სისხლში პრეზიდენტი ხელს არ გაისვრიდა. უკანასკნელ წლებში საფრანგეთში სიკვდილით არავინ დაუსჯიათ; ამასთან თვით ფალიერი დეპუტატობის დროს დიდი წინააღმდეგი იყო სიკვდილით დასჯის. პროგრესიულ საზოგადოების იმედები გამართლდა. ფალიერმა სოლეიანს სიცოცხლე შეარჩუნა.

# დეპეშები

(პეტერბურგის დეპ. სააგ.).

13 სექტემბერი.

**არჩევნები**

**ყაზანი.** 5 მაზრაში აირჩიეს 146 სოფლის რწმუნებული, ამათგან 2 კ.-დ., 2-ს. დ., 14 მემარჯ., 67 უპარ. მემარჯ. 25 ზომ., 33 უპარ. მემარც.

**მინსკი.** აირჩიეს 26 მუშათა რწმუნებული, 7 ს.-დ., 7 უპ., 6 უკიდ. მემარც., 6 გამოურკვეველი.

**ლიუბლინი.** აირჩიეს 172 რწმუნებული მიწათ-მფლობელი, 1 ავტონომისტი, 2 ოქტომბრ., 52 ნაროდ., 33 უპარ., 9 ზომ., 75 გამოურკვეველი.

**კოსტრომა.** აირჩიეს 83 მუშათა რწმუნებული. 18 მემარჯ., 45 უპარ., 20 მემარც.

**პეტერბურგი.** სააგენტოს ცნობებით ევროპის რუსეთის 21 გუბერნიაში და პოლონეთის 4 გუბერნიაში 13 ენკენისთვემდე აურჩევიათ 5942 გლეხთა რწმუნებული. ამათგან 10 „რუსთა კავშირის" წევრია, 1 უფლებრივ წყობილების პარტიისა, 2 ოქტომბრისტი, 6 მშვიდობიან განახლების პარტიისა, 36 კადეტი, 59 სოციალდემოკრატი, 10 სოც.-რევოლიუციონერი, 3 ტრუდოვიკი, 506 თავის თავს მონარქისტს უწოდებს, 1724 მემარჯვენეს ირქმევს, 521 ზომიერი, 1 კონსერვატორი, 10 უკიდურესი მემარცხენე, 377 მემარცხენე, 11 მემარცხენეთა მომხრე, 6 სოციალისტი, 31 პროგრესისტი, 8 ნაციონალისტი, 108 ნაროდოვეცი, 1461 უპარტიო, 901 უცნობი პარტიისანი.

მუშათა რწმუნებულებს ევროპის რუსეთის 13 გუბერნიაში აირჩიეს 678. ჭეშმარიტი რუსი 1; ოქტომბრისტი 2; კადეტი 11; კადეტთა მარცხნივ 4; სოც.-დემ. 98; სოც.-რევ. 23; პროგრესისტი 2; მონარქისტი 31; მემარჯვენე 52; ზომიერი 135; მემარცხნე 132; უპარტიო 102.

წვრილ მემამულეთა სიეზდზე ევროპის რუსეთისა და პოლონეთის 17 გუბერნიაში აირჩიეს 1628 რწმუნებული. აქედან 29 რუსთა კავშირის; 20 ოქტომბრისტი; 32 ოქტომბრისტების მომხრე; 88 კადეტი; 1 სოც.-დემ.; 123 ნაროდოვეცი; 10 ნაციონალისტი; 47 მონარქისტი; 471 მემარჯვენე; 19 ზომიერი; 32 მემარცხნე; 5 პროგრესისტი; 321 უპარტიო; 435 უცნობი.

**ხარკოვი.** კუპიანსკის საპყრობილეში ტუსაღებმა მოკლეს უფროსი ზედამხედველი. მოკლეს და დაასახიჩრეს აგრეთვე ხუთი სხვა ზედამხედველი. ციხეს ალყა აქვს შემორტყმული. კარგა ხნის სროლის შემდეგ, რომელზედაც პასუხს აძლევდენ ტუსაღები, არეულობა დაწყნარდა, მაგრამ ბუნტის მოთავეებმა, რომლებიც სახურავზე შეეფარენ ციხეს, ცეცხლი გაუჩინეს. ტუსაღები სხვაგან გადაიყვანეს. 11 სექტემბერს ცეცხლი ჩააქრეს. დაჭრილია აგრეთვე ერთი სტრაჟნიკი და მოკლული სამი ტუსაღი.

**კიევი.** გარდაიცვალა უნივერსიტეტის ყოფილი რექტორი დამსახურებული პროფესორი ბომრეცკი.

რედაქტორ-გამომცემელი **იოსებ ზ. გიორგობიანი**

უადამიანობაში და ბარბაროსობაში გამოიხატებოდა. მათ მოყავდათ მარქსის, ლასალის და ბებელის სიტყვები, რომელნიც ამტკიცებდენ, მათის აზრით, აპეკუნობის საჭიროებას და სარგებლობას. „ყველა ქვეყნის" რევიზიონისტები ვერასოდეს ვერ შეიგნებენ იმ უბრალო ჭეშმარიტებას, რომ კოლონიალურ პოლიტიკის პრინციპიალური უარყოფა არასოდეს არ დაუშლის სოციალისტებს ეცადონ დღესვე კოლონიებში მცხოვრებთა მდგომარეობის გაუმჯობესებას. სოციალისტები უარყოფენ პრინციპიალურათ კაპიტალისტურ წყობილებას, მაგრამ განა ისინი ამით უარყოფენ სადღეისო ბრძოლას რეფორმებისათვის? სრულებითაც არა. და ამიტომ აქვთ მათ პროგრამა-მინიმუმი. იმ დროს, როცა გერმანიის გამხეცებული „სოლდატესკა" მუსრს ავლებს საცოდავ ჰესეროს და ჰოტენტოტებს სამხრეთ აფრიკაში, ბერნშტეინი და დავიდი გამოდიან საჯაროთ და აპეკუნობას იცავენ! მოვიშს ვიხდი მკითხველთან, რომ ასე დიდხანს შევაჩერე ის ამ საგანზე, მაგრამ ეს საჭირო იყო კონგრესის უმრავლესობის შეძრწუნების დასახასიათებლათ.

„ჩვენ კარგათ ვიცით, რასაც ნიშნავს გერმანიის და რუსეთის ბატონობა პოლონეთში", წამოიძახა გაცხარებულათ კარსკიმ. შესანიშნავი იყო ლედებურის გამოსვლა, რომელიც რეიხსტაგის ს.-დ. ფრაქციაში სპეციალისტათ ითვლება კოლონიალურ კითხვაში. მან ჩვეულებრივ მჭევრმეტყველობით და მკაცრ ირონიებით მიწასთან გაასწორა ბერნშტეინი. მისი აზრით, ერთი ერის მეორისგან აპეკუნობა ყოველ ნამდვილ სოციალისტისათვის „აბსოლიუტურათ" შეუწყნარებელია. ლედებურის სიტყვა განმარტა და გააფართოვა კაუცკიმ, რომელიც დაუსრულებელ ოვაციებით იქნა მიღებული. კაუცკიმ ისიც კი თქვა, რომ ვერც სოციალისტურ ხანაში იცვლის კოლონიალური პოლიტიკა თავის ვერაგულ ხასიათს.

კამათის დროს გერმანიის დელეგაციის სახელით შემოვიდა ერთი დამატება, რომელსაც კომისიის უმრავლესობის სათაურის მაგიერობა უნდა გაეწია. აი ისიც: „ვინაიდან სოციალიზმს სურს მთელი მსოფლიოს წარმოებით ძალების განვითარება და ყველა ხალხთა უმაღლეს კულტურამდე მიღწევა, კონგრესი არ განაგდებს ყოველ კოლონიალურ პოლიტიკას პრინციპიალურათ, რადგან მას სოციალისტურ რეჟიმის ქვეშ ცივილიზატორულათ შეუძლია მოქმედება". მომხსენებელი მიემხრო ამ დამატებას.

პირველათ კენჭი ეყარა ლედებურის და ამხ. დამატებას და მიღებულ იქნა 127 ხმით 108 წინააღმდეგ 10 ხმის თავშეკავებით. ამგვარათ, უარყოფილ იქნა კომისიის უმრავლესობის პრინციპიალური სათაური. შემდეგ კენჭი ეყარა მთელ რეზოლიუციას მიღებულ დამატებით და მიღებულ იქნა ერთხმათ ჰოლანდიელების თავშეკავებით. ტაშისცემას და „ურას" არ უჩნდა დასასრული. უკანასკნელ კენჭის ყრაზე ატყდა დიდი ჩოჩქოლი გერმანიის დელეგაციაში. დავიდმა შავი ჩაუგდო მთელ რეზოლიუციას. ამან შეაძრწუნა დელეგაცია და მოითხოვა თავისთვის ცალკე კენჭის ყრა. შედეგი იყო ლედებურის დამატების და რეზოლიუციის თითქმის ერთხმათ მიღება. ბერნშტეინის და დავიდის იმპერიალისტურმა მჭერმეტყველობამ გერმანიის დელეგაცია გონზე მოიყვანა. მისი უმრავლესობა, ჩემის აზრით, ექომაგებოდა პრინციპიალურათ კოლონიალურ პოლიტიკას მხოლოდ სოციალისტურ ხანაში, რადგან მაშინ ხსენებულ პოლიტიკის ადამიანურათ წაყვანა მას შესაძლებლათ მიაჩნია. რევიზიონისტები-კი ლამობდენ თავზე მოეხვიათ მისთვის კოლონიალურ პოლიტიკის პრინციპიალური შეწყნარება კაპიტალისტურ ხანაში. ეს კი არსებითათ ეწინააღმდეგება გერმანიის სოციალ-დემოკრატიის პრაქტიკას. გაიხსენეთ შარშან რეიხსტაგის გარეკა. **ა. ჩ.**


# ავადმყოფებს და სუსტებს „სპერმატინი"

თუ თქვენ დასუსტებული ხართ ფიზიკურ ან გონებრივ მუშაობით, თუ ჯანი გაიტეხეთ, ნერვები დაისუსტეთ ან ესა თუ ის სენი გჭირთ, სასოწარკვეთილებას ნუ მიეცემით, არის „სპერმატინი". იგი სასურველ შვებას მოგცემთ. მას არ შეიძლება მედიკამენტი ვუწოდოთ, რომელიც ერთ რაიმე ადგილზე მოქმედებს, არა! ეს ნივთიერება სრულიად უვნებელია, იგი ცხოვრების ესენციაა, იგი ძალის მომმატებელია. „სპერმატინი" მოქმედებს სისხლზე და აახლებს მას, აშორებს რა მავნე ელემენტებს, ჰხვდება რა იქ, სადაც უჯრედები ორგანიზმში რაიმე სენის ან სიბერის გავლენის ქვეშ იმყოფება, „სპერმატინის" ნაწილები, ჯანმრთელობის დარაჯნი, იწყებენ ნაყოფიერ მუშაობას უჯრედების აღსადგენად, აწვდიან მას ახალ სისხლს და ახალ ძალას და ამით შეძლებას აძლევენ ბრძოლისას როგორც სენთან, ისე ყველაფრის განმანადგურებელ დრო-ჟამთან. „სპერმატინი" შედეგია ბროუნ-სეკარის შესანიშნავ აღმოჩენისა. ჰშველის ყველაფერს: სისხლნაკლებობას, ძალის სისუსტეს სიბერეში, მარაზმს, დაუძლურებულ ნერვიულ სისტემას, შამაკაცის სიუძლურეს, გადაჭარბებულ დაღლილობას გონებრივ და ფიზიკურ მუშაობის დროს, ონანიზმის შედეგს და წითელ ქარს, სიფილისს, სურავანდს, დამბლას, სქესობრივ მოჭარბებულ ურთიერთობის შედეგს, ხერხემლის ტვინის სატკივარს, ჰლექს, ქარებს, ქრონიკულ მუცლის შეკვრას, ბუასილს და სხვას. ეს საშუალება საუკეთესო ნაყოფს იძლევა.

**ავადმყოფთა წერილები.**

„მ. ხ. ბ. ახობაძევ! თითმის მთელი ხუთი წელი ვიტანჯებოდი სისხლ-ნაკლულევანებით. უკანასკნელს წელიწადს ნერვები ძალიან ამეშალა. რაც დრო გადიოდა, უარესათ ვხდებოდი და მაკლდებოდა ჯანი, დამეკარგა მადა ჭამისა, ძალი და ენერგია. დამიწყო ფეხებმა ტკივილი, თავის ტკივილი. ამ ხუთის წლის განმავლობაშიდ ვღებულობდი სხვადასხვა წამლებს —გამოწერილს სხვადასხვა ექიმებისაგან, მაგრამ ამაოთ ჩაიარა წამლობამ და დავკარგე მორჩენის იმედი. ამ დროს გავიგე, რომ თფილისში იყიდება წამალი ყოველგვარ ავათმყოფობისა— „სპერმატინი" ბატონ ახობაძესთან, წარმომადგენელთან მოსკოვის ივანოვის ლაბორატორიისა. მოსკოვის ქუჩ. № 4. ვიყიდე ერთი ფლაკონი და ვიწყე მისი იღება. ერთის კვირის განმავლობაში ვიგრძენი სატკივრის შემსუბუქება, გავთავისუფლდი ყველა იმ ავათმყოფობისაგან, რომლითაც ვიტანჯებოდი ხუთ წელიწადს. იმედი მაქვს, რომ სპერმატინი მომანიჭებს ჩემს დაკარგულს ჯანს. ამით დავივიწყებ ჩემს წარსულ უბედურებას, თუ რომ გადამარჩენს ექიმების რეცეპტებს და ვიზიტებს, ჩემთვის უსარგებლოს. პატივის ცემით **ვ. მნაცაკანოვისა**". თფილისი, 22 აგვისტო.

„**მ. ხ. ბ. ივანოვ!** სიტყვა ვერ გამომიძებნია მადლობის გამოსაცხადებლად თქვენის სასწაულთ-მომქმედ „სპერმატინისთვის". 10 წელზე მეტს ვიტანჯებოდი ძალის სისუსტით, გულის ფრიალით, ხველებით, ნერვების დაუძლურებით. იქამდე მივედი, რომ თავის მოკვლა განვიზრახე. ერთ წუთს მოსვენება არა მქონდა, ყველაფერი მაბრაზებდა, სულ მცირე რამეც. ყველაფერზე ვტიროდი, „სპერმანის" ორი ფლაკონის მიღების შემდეგ მხნედ ვიგრძენ თავი, სიჩუმე მომეფინა, გული დამიმშვიდდა, ძილი და მადა დამიბრუნდა, ერთის სიტყვით—სულ განვახლდი. ყველა ამისთვის გულწრფელად გმადლობთ და ლოცვით ვევედრები თქვენთვის. თქვენი პატივისმცემელი **ნ. ბოსსი**. მოსკოვი, მე-2 მეშჩანსკაია, ს. პოლიაკოვისა, № 11, 2, № 21. 24 ნოემბერი 1906 წ.".

„**მ. ხ. ბ. ივანოვ!** სიამოვნებით ვაცხადებ, რომ ი. ნ. ივანოვის ლაბორატორიის „სპერმატინმა" დიდი შვება მოგვცა მე და ჩემ ცოლს ნერვების მოშლისა და ტანჯვის დროს. მოსკოვის ბავშვთა სოფიის საავადმყოფოს მეაფთიაქეს თანაშემწე **ს. კიუშენკო**. 19 აპრ. 1907 წ."

„ივანოვის „სპერმატინის" ლაბორატორიაში („სპერმინი"). მ. ხ. მე ვიტანჯებოდი დიდი ხნის ბუასილით და ნერვების დაუძლურებით, აგრეთვე მიკანკალებდა ხელები. ვცადე თქვენი „სპერმატინი" და თუმცა წამლობის დროს გარემოება ხელს არ მიწყობდა, მაინც ვამოწმებ, რომ ჩემზე მან კარგად იმოქმედა: განვახლდი და გამოვკეთდი. გადავწყვიტე ვისარგებლო მეც და ჩემმა ოჯახობამ. იგი საუკეთესო სამამაგრებელი საშუალებაა. პატივისცემით **ს. ნ. ივანოვი**. მოსკოვი, როგოჟსკაია, 3 პერ., ს. ივანოვისა, 1 მაისი 1907 წ.".

„სპერმატინი" განვლილი წლის ბოლომდე ვრცელდებოდა ამ სახელით „სპერმანი" ნ. ნ. ივანოვი და ამხ. სახელით, ეხლა-კი, ნ. ნ. ივანოვის სიკვდილის შემდეგ, იყიდება იმის ძმის ვ. ნ. ივანოვის ლაბორატორიაში რეცეპტის შეუცვლელად. „სპერმატინ"-მა ნ. ნ. ივანოვისამ, დღეს კი, „სპერმატინმა" ი. ნ. ივანოვისამ დაიმსახურა აუარებელი სამადლობელი წერილი, ოქროს მედალი და უმაღლესი ჯილდო რუსეთში, ლონდონში, პარიზში, და ბრიუსელში.

უფრთხილდით სიყალბეს და მიბაძვას. წიგნაკები უფასოდ. ფასი ერთი ფლაკონისა 2 მ. 40 კ. გაგზავნა ერთიდან 4 ფლაკონამდე 40 კ. 5-დან 10-დე 65 კ. შუა აზიაში ორჯერ ძვირია აღმოსავლეთ ციმბირში—სამჯერ. გამოწერა შეიძლება ფოსტით, მხოლოდ წინდაწინვე უნდა გამოიგზავნოს ბე ფოსტის მარკებით ან ფულით—მესამედი ფასისა.

**წარმომადგენელი კავკასიისთვის ი. გ. ახობაძე.** თფილისი, მოსკოვის ქუჩა, ს. გაბაევისა, № 4. **უბეოდ საქონელი არ იგზავნება.** (0—1)


მსწრაფლმბეჭდავი ამხ. „სორაპანი" მადათოვის კუნძული, შუხრასნსკისა სახლი № 1.